

# **აღსრულება და საჩივლის უზრუნველყოფა**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**  
2017, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)  
2017, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2017, №6

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2017, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298-21-03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. აღსრულებასთან დაკავშირებული დავები

## გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

### ბანჩინება

№ბს-799-783(კს-12)

4 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** მოძრავი ნივთების ღირებულების განსაზღვრა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ინდ. მენარმე „ბ. ქ-მა“ 2007 წლის 1 ივნისს, სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ 2007 წლის 23 მაისის №00737 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის და 2007 წლის 28 მაისის №1516 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ბ. ქ-ის სარჩელი გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 23 მაისს გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ შედგენილი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №00737 და მისგან გამომდინარე ყველა შედეგი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება,

რომლითაც ინდივიდუალური მეწარმე „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 23 მაისის №00737 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 28 მაისის №1516 საგადასახადო მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაზე ამავე სასამართლოს მიერ 2008 წლის 24 ოქტომბერს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა ინდივიდუალური მეწარმე „ბ. ქ-ის“ განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება განიმარტა შემდეგნაირად: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით ინდივიდუალური მეწარმე „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა და, შესაბამისად, დაკმაყოფილდა, აგრეთვე, ინდ. მეწარმე „ბ. ქ-ის“ სარჩელის მოთხოვნა და ბ. ქ-ს ნება დაერთო შპს „ა-დან“ გამოეყვანა ავტომანქანა ზილ-130 და მასზე არსებული ტვირთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2011 წლის 29 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებაზე (გადაწყვეტილების განმარტების შესახებ).

2012 წლის 18 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ბ. ქ-მა და მოითხოვა საქმეზე №3/ბ-1475-07, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით მიკუთვნებული მოძრავი ნივთების ღირებულების განსაზღვრა. განმცხადებელმა მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა“ და განმარტა, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად, რამდენადაც იგი მოჩვენებითს ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას და პირს ართმევს ამ უფლებით სარგებლობის ყველანაირ პრაქტიკულ საშუალებას. განმცხადებელმა ასევე მიუთითა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას. გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისა და აღსრულების საკითხზე იმსჯელა, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №1/14/184.228 მიუთითა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული პრეცედენცია, როცა სასამართლოსადმი მიმართვაში, გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება ივარაუდება; ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლებას, მით უფრო დარღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუ კი არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დღემდე ვერ ხერხდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულება საქმეზე №3/ბ/1475-07, მხარემ მო-

ითხოვა, სასამართლომ გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლი და თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვროს დასაბრუნებელი მოძრავი ნივთების ღირებულება. განცხადებაში მითითებულია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკა აქვს დადგენილი საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავისი 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქმეზე №ას-325-580-08. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა, განისაზღვროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით საქმეზე №3ბ/1475-07 ბ. ქ-ისათვის მიკუთვნებული მოძრავი ნივთების (ალკოჰოლური სასმელების) ფასი, კერძოდ, კი მათი ფასი განისაზღვროს 77 161 ლარით და აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცეს ახალი სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ივლისის განჩინებით ბ. ქ-ის განცხადება მიკუთვნებული მოძრავი ნივთების ღირებულების განსაზღვრის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ განმცხადებელმა ბ. ქ-მა შპს „...“ ავტომანქანა ზილ-130-ზე არსებული ტვირთი უკან ვერ დაიბრუნა. პალატამ აღნიშნა ის გარემოება, რომ საქმის მასალებით დადგენილია, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაში არ არის დაფიქსირებული სადავო ნივთების ღირებულება და აღნიშნული არ ყოფილა სასამართლოს მსჯელობის საგანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლის შესაბამისად, მხარე, რომელიც ითხოვს ქონების მიკუთვნებას, უფლებამოსილია, მოითხოვოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საშიშროებისას (ქონების განადგურება და სხვა) ამ ქონების ღირებულების განსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური მენარმე ბ. ქ-ის წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის საქართველოს დამოუკიდებელი საქესპერტო-საარბიტრაჟო პალატის 2007 წლის 23 მარტის ცნობა №03-180, რომლის თანახმად, ალკოჰოლური სასმელების საბაზრო ღირებულებამ, რომელიც გადააჭონდა ავტომანქანას „ზილ-130“ სახელმწიფო ნომრით ..., შეადგინა 77 161,20 ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით (65 394 ლარი დღგ-ს გამოკლებით). სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ცნობა საქმის განხილვისას არ იყო წარმოდგენილი, შესაბამისად, არ ყოფილა სა-

სამართლოს მსჯელობის საგანი. მართალია, გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ შედგენილ 2007 წლის 23 მაისის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში №00737 მითითებულია, რომ აღკოპოლურ სასმელებზე, საერთო საბაზრო ღირებულებაზე დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 77 161,20 ლარი, თუმცა აღნიშნული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილდაა ცნობილი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოდგენილი განცხადება სათანადოდ არ არის დასაბუთებული და არ დასტურდება განცხადებაში მხარის მიერ მითითებული ნივთების ღირებულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ქ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების, მხარეთა განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ქ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილია და მისი შესრულება უზ-

რუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა გარანტირებულია კანონის სხვადასხვა ნორმებით, რომლებიც ავალდებულებს სასამართლოს, გამოიტანოს აღსრულებადი გადაწყვეტილება, რაც მოცემულ შემთხვევაში საეჭვო არ არის – სასამართლომ მხარეს დააკისრა ქონების გადაცემა. ამავდროულად, მხარეს უფლება აქვს, კანონის ფარგლებში ხელი შეუწყოს და უფრო მეტად გარანტირებული გახადოს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, კერძოდ: ქონების მიკუთვნების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური აღსრულება უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლით, რომლის თანახმად, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახედეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. ამდენად, მხარე, რომელიც ითხოვს ქონების მიკუთვნებას, უფლებამოსილია, მოითხოვოს გადაწყვეტილების აღსრულებლობის საშიშროებისას (ქონების განადგურება და სხვა) ამ ქონების ღირებულების განსაზღვრა. აღნიშნულით უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება და მოსარჩელეს ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ, სარჩელის ხელახლა აღძვრის საჭიროება არ წარმოეშობა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს დამოუკიდებელი საექსპერტო-საარბიტრაჟო პალატის 2007 წლის 23 მარტის ცნობაზე №03-180, რომლის თანახმად, ალკოჰოლური სასმელების საბაზრო ღირებულებამ, რომელიც გადაჰქონდა ავტომანქანას „ზილ-130“ სახელმწიფო ნომრით ..., შეადგინა 77 161,20 ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით (65 394 ლარი დღგ-ს გამოკლებით) და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მითითებული ნორმა ავალდებს სასამართლოს, დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის სწორად გადაწყვეტისათვის. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული მუხლის მოთხოვნა დაარღვია, გასაჩივრებული



განჩინება სათანადოდ არ დაასაბუთა და არ განსაზღვრა იმ ნივთების ღირებულება, რომლებიც ბ. ქ-ისათვის უნდა დაებრუნებინათ. ასეთ ვითარებაში კი გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით აღსრულებას საფრთხე ექმნება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამოარკვიოს და განსაზღვროს კონკრეტულად რა ღირებულებისაა სადავო ნივთები (ალკოჰოლური სასმელები) და აღნიშნული ასახოს თავის გადაწყვეტილებაში.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებელი განჩინება ბ. ქ-ისათვის სადავო ნივთების ფასის განსაზღვრის ნაწილში დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ბ. ქ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უფლებამონაცვლე ორგანიზაციისათვის  
სააღსრულებო ფურცლის გაცემა**

**განჩინება**

№ბს-785-769(კ-12)

11 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. ალავეიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „ე-ს“ განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის №ბს-785-769(კ-12) გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს რეორგანიზაციის გამო, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლის დადგენისა და შემდგომ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ე-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც: „შპს „ე-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი: ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილება; ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი; მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმის გარემოებათა ხელახალი გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კონონით დადგენილ ვადაში; სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს

ტოს დაეკისრა შპს „ე-ს“ მიერ სამართალწარმოებაზე განეული შპს „ე-ს“ სასარგებლოდ ხარჯების სახით გადახდილი (100+150+300) 550 ლარის გადახდა; სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დაეკისრა სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2013 წლის 30 ივლისს გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც კრედიტორად მიეთითა შპს „ე-ი“, ხოლო მოვალედ – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო.

2013 წლის 23 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მომართა შპს „ე-მა“, რომლითაც მოითხოვა აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალის – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს რეორგანიზაციის გამო, მოვალის დასახელებაში შესწორების შეტანა, თანხის ამოღების უზრუნველსაყოფად, შემდეგი მოტივით:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2013 წლის 17 სექტემბრის წერილით ეცნობა, რომ 2013 წლის 30 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება შეუძლებელი იყო, ვინაიდან, „საქართველოს გარემოს დაცვის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციისა, უფლებამონაცვლეობის განსაზღვრისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის №93 დადგენილების თანახმად, მოხდა სააღსრულებო ფურცელში მოვალედ მითითებული სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს რეორგანიზაცია, ამავე დებულების შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლეს იმ მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში, რომელიც უკავშირდება მათ მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას, წარმოადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნული განცხადების საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბერს გამოითხოვა ადმინისტრაციული საქმე №ბს-785-769(კ-12) შპს „ე-ს“ სარჩელისა გამო საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინ-

ნისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სამსახურის მიმართ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილებისა და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის შესახებ) და საკასაციო სასამართლოს მიერ 2013 წლის 30 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედანი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო შპს „ე-ს“ განცხადებასა და თანდართულ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სპეციალური სამსახურის 2013 წლის 17 სექტემბრის №13046899-007/001 გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ განმცხადებელი პრაქტიკულად ითხოვს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემას უფლებამონაცვლე პირის მიმართ, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალე სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ნაცვლად მიეთითება მისი უფლებამონაცვლე – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა.

საკასაციო სასამართლო, ასევე, ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს დაცვის, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის, უფლებამონაცვლეობის განსაზღვრისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შექმნის შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის №93 დადგენილებით, რომლის შესაბამისად, როორგანიზებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოდ. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გამგებლობაში შეიქმნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. როორგანიზებული საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მმართველობითი ფუნქციები კანონმდებლობით მინიჭებული მათი უფლებამოსილებების (ფუნქციების) ფარგლებში გადანაწილდა: 1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაზე – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტზე; 2. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოზე და 3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – გარემოს ეროვნულ სააგენტოზე.

აღნიშნული დადგენილების 1-ლი მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ჩაითვალოს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლედ იმ მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში, რომელიც უკავშირდება მათ მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიხედვით სადავო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე, შპს „ე-ი“ დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146<sup>1</sup>-ე მუხლით, კერძოდ, შპს „ე-ს“ მიმდებარე ტერიტორიის ავტომანქანის რეცხვის დროს წარმოქმნილი წარჩენებით დაბინძურებისათვის. სასამართლოში სარჩელის საგანს წარმოადგენდა სწორედ სამართალდარღვევის ოქმისა და მის

საფუძველზე მიღებული დადგენილების ბათილად ცნობა, ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის №93 დადგენილების შესაბამისად, რეორგანიზებულ იქნა რა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო, მისი ფუნქციები რიგ საკითხებში, კერძოდ, გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №26 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობის სფეროსა და ძირითად ამოცანას. დეპარტამენტი კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით უფლებამოსილია, ასევე, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და ა.შ.

როგორც წარმოდგენილი განცხადების თანდართული დოკუმენტით, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სპეციალური სამსახურის 2013 წლის 17 სექტემბრის №13046899-007/001 გადაწყვეტილებიდან ირკვევა, 2013 წლის 30 ივლისს გაცემული №ბს-785-769(კ-13) სააღსრულებო ფურცლის სისრულეში მოყვანა შეუძლებელია სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს რეორგანიზაციის გამო, სააღსრულებო ფურცელი საჭიროებს შესწორებას მოვალე ორგანიზაციის დასახელებაში, მისი აღსრულების, კერძოდ, თანხის ამოღების უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალის – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიმართ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეუძლებელია, რის გამოც საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს მისთვის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, მინიჭებული კომპეტენცია, მოვალის – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე, რათა არ დაბრკოლდეს კანონიერ ძალაში შესული 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების, საქმეზე №ბს-785-769(კ-12), აღსრულება.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სა-

ხელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, წარმოადგენს რა საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლეს, კანონიერ ძალაში შესული 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებაზე (საქმე №ბს-785-769(კ-12), სააღსრულებო ფურცელი უნდა გაიცეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის №ბს-785-769(კ-12) გადაწყვეტილებაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცელი სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამუშაო ადდგენის და იძულებითი განაცდურის  
თაობაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ  
აღსრულება**

**განჩინება**

№ბს-518-500(2კ-კს-13)

30 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 7 მარტს თ. ფ-მა, ტ. ჩ-მა, ა. (ჯ.) ო-მა, შ. ჯ-მა, მ. ზ-მა, ს. ტ-მა, მ. ბ-მა, მ. ბ-ემ, ზ. ო-მა, გ. ქ-ნმა და ა. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

მოსარჩელებმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის: 1. 2013 წლის 13 თებერვლის №2პ-065; 2. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-079; 3. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-080; 4. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-081; 5. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-082; 6. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-083; 7. 2018 წლის 18 თებერვლის №2პ-084; 8. 2013 წლის 13 თებერვლის №2პ-085; 9. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-7-87; 10. 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-7-114; 11. 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-7-109 და 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-7-110 ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვეს.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით: 1. გაუქმდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 13 თებერვლის №2პ-065 ბრძანება; 2. თ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-085 ბრძანება თ. ფ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – რწმუნებულის თანამდებობაზე ... თემში აღადგინოს თ. ფ-ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა თ. ფ-ს აუნაზღაუ-



როს ხელფასი 2013 წლის 18 თებერვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 3. ტ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-084 ბრძანება ტ. ჩ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – რწმუნებულის თანამდებობაზე ... თემში აღადგინოს ტ. ჩ-ი. ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ტ. ჩ-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 18 თებერვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 4. მ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-081 ბრძანება მ. ზ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – რწმუნებულის თანამდებობაზე ... თემში აღადგინოს მ. ზ-ი. ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა მ. ზ-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 18 თებერვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 5. მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-111 ბრძანება მ. ბ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღადგინოს მ. ბ-ე. ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა მ. ბ-ეს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 1 მარტიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 6. ზ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-109 ბრძანება ზ. ო-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე აღადგინოს ზ. ო-ი. ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ზ. ო-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 1 მარტიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 7. ს. ტ-ის, მ. ხ-ის, შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, გ. ქ-ნისა და ა. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის განწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრეს სააპელაციო საჩივრით ს. ტ-მა, მ. ხ-მა, შ. ჯ-მა, ა. (ჯ.) ო-მა, გ. ქ-ნმა და ა. ბ-მა, რომლებმაც სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც სარჩელის აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 ივნისის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაებნენ ქ. ფ-ი, რ. ჩ-ი, რ. თ-ე, ბ. ლ-ი, ნ. ლ-ი, გ. ქ-ა, ვ. ბ-ი, ნ. ლ-ი, ლ. ზ-ი, ბ. ო-ი და ა. გ-ე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ნის, ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ნის, ა. ბ-ის ნაწილში; შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ნის, ა. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: 1. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 2. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079 ბრძანება ა. (ჯ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (ჯ.) ო-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 3. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანება გ. ქ-ნის ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ნი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 4. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 ბრძანება დაბა ლენტე-

ხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ა. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 5. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-083 ბრძანება ს. ტ-ის გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ს. ტ-ი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

– მ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება მ. ხ-ის სარჩელის უარყოფის ნაწილში, მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-087 ბრძანება – ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. ხ-თან დაკავშირებით;

– ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ცვლილება შევიდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაში და ტ. ჩ-ს, მ. ზ-ს, მ. ბ-ეს და ზ. ო-ს აუნაზღაურდათ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

– ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ საქმეზე №3/ზ-141-2013წ. მიღებულ იქნა დამატებითი გადაწყვეტილება; ცვლილება შევიდა თ. ფ-ის სარჩელთან დაკავშირებით მიღებულ ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაში, თ. ფ-ს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდე-

ნობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით ტ. ჩ-ის, მ. ზ-ის, მ. ბ-ის, ზ. ო-ის, ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ისა და ს. ტ-ის წარმომადგენლის ადვოკატ გ. ჭ-ის განცხადება დაკმაყოფილდა: გადაიკა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის სარჩელი: – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079 ბრძანება ა. (ჯ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (ჯ.) ო-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-083 ბრძანება ს. ტ-ის გათავისუფლების შესახებ. აღდგენილ იქნა ს. ტ-ი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ასევე, იმ ნაწილში, რომლითაც ცვლილება შევიდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაში ტ. ჩ-ს, მ. ზ-ს, მ. ბ-ეს და ზ. ო-ს აუნაზღაურდათ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული ნაწილის დაუყოვნებლივ აღსასრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით თ. ფ-ისა და გ. ქ-ის წარმომადგენლის – ადვოკატ გ. ჭ-ის, ასევე, ა. ბ-ის განცხადებები დაკმაყოფილდა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის სარჩელი: – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანება გ. ქ-ნის ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ნი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 ბრძანება დაბა ლენტეხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ა. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ლენტეხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – გადაიცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ფ-ს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების მ. ხ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მის ნაწილში სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება, საკასაციო წესით გაასაჩივრა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებები სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსას-

რულებლად გადაცემის შესახებ კერძო საჩივრით ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებულ განჩინებებს დაუსაბუთებლად მიიჩნევს. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ნორმებზე მითითებით და არ დაუსაბუთებია აღნიშნული საპროცესო მოქმედების გამოყენების აუცილებლობა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელეთა ყოფილ თანამდებობებზე უკვე დანიშნული არიან სხვა პირები. ამასთან, რწმუნებულების სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი გახდა მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველად ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან მიმართებით არ ამართლებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მიუხედავად გამგეობა მოსარჩელეთა საკითხზე მიიღებდა გადაწყვეტილებას მათი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. მოსარჩელეთა სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენა კერძო საჩივრის ავტორს გაუმართლებლად მიაჩნია იმ საფუძველით, რომ შსს იმერეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საფუძველად დაედო 2011-2012 წლებში ლენტიხის რაიონში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტენდერების კანონიერების შემოწმება იმ ერთეულებში, რომელთა რწმუნებულებიც იქნენ გათავისუფლებული თანამდებობებიდან გასაჩივრებული აქტებით. გარდა ამისა, მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენა ხელს შეუშლის სახელმწიფო სამსახურის სწრაფი და ეფექტური მუშაობის განხორციელების პრინციპს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ხ-ისა და ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით წარმო-

ებაში იქნა მიღებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობის კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებებზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე თ. ფ-ის, ტ. ჩ-ის, მ. ზ-ის, ს. ტ-ის, მ. ბ-ისა და ზ. ო-ის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 2013 წლის 15 ივლისის განჩინებები 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებისა და 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე ტ. ჩ-ის, მ. ზ-ის, ს. ტ-ის, მ. ბ-ის, ზ. ო-ისა და თ. ფ-ის ნაწილში. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის ნაწილში განხილულიყო მხარეთა დასწრების გარეშე მათ ნაწილში დაშვებულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივართან ერთად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-079, 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-080, 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-082 და 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-110 ბრძანებები და ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის შრომითი მოწყობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, ა. (ჯ.)



ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის ნაწილში ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განსახილველ ნაწილთან მიმართებით მიუთითებს საქმეში ასახულ შემდეგ გარემოებებს: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის წარმომადგენლის – ადვოკატ გ. ჭ-ის განცხადება დაკმაყოფილდა: გადაიცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც:

– ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

– ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-079 ბრძანება ა. (ჯ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (ჯ.) ო-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით გ. ქ-ნის წარმომადგენლის – ადვოკატ გ. ჭ-ის, ასევე ა. ბ-ის განცხადებები დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-110 ბრძანება.



ნება გ. ქ-ნის ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ნი აღდგენილ იქნა ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

– ბათილად იქნა ცნობილი ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 ბრძანება დაბა ლენტიხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ა. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ლენტიხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079, 2013 წლის 18 თებერვლის №23-080, 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 და 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანებები და ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის შრომითი მოწყობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ, ასევე გადაწყვეტილებები უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარ-

და იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მიღებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებების ძალაში დატოვების ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს. ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის ნაწილში სადავო განჩინებები უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვლილია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებები ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის ნაწილში უნდა გაუქმდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

## **დაადგინა:**

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებებზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 2013 წლის 15 ივლისის განჩინებები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ნის ნაწილში;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების წინაპირობები**

### **განჩინება**

№ბს-718-704(კ-7კს-14)

6 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 23 იანვარს შ. ი-მა, ი. ჭ-მა, შ. კ-მა, მ. ფ-მა და მ. კ-მა სარჩელი აღძრეს მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში დუშეთის მუნიციპალიტეტში მოპასუხეების: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საა-

ტესტაციო კომისიის მიმართ და მოითხოვეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეები: მ. კ-ი, გ. ნ-ი, ა. კ-ი, ხ. კ-ი, ვ. კ-ე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №86 ბრძანება; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №2 ბრძანება, რომლის გამოცემის თარიღად მითითებულია, ასევე, 2014 წლის 6 იანვარიც და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 ოქმი, იმ ნაწილში, რომლითაც არ იქნა გაზიარებული შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის, მ. კ-ის მიმართ მიღებული საპრეტენზიო კომისიის დასკვნა და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა, შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით;

სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა და მოითხოვა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე შ. ი-თან დაკავშირებით მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა, შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებასთან მიმართებაში, ი. ჭ-თან დაკავშირებით მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანებასთან მიმართებაში, შ. კ-თან დაკავშირებით მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №2 ბრძანებასთან მიმართებაში, რომლის გამოცემის თარიღად ბათილად ცნობილ ამავე აქტში, ასევე, მითითებულია 2014 წლის 6 იანვარიც. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბათილად ცნობილ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 ოქმთან დაკავშირებით (რომლითაც არ იქნა გაზიარებული შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის მ. კ-ის მიმართ მიღებული საპრეტენზიო კომისიის დასკვნა). აპელანტი, ასევე, ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა.

ფილდა სასარჩელო მოთხოვნები, ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების ნაწილში წარმოადგენს, ასევე, კერძო საჩივარსაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და დავის ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება განჩინების სახით; მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესამე პირების – მ. კ-ის, გ. წ-ის, ა. კ-ის, ხ. კ-ისა და ვ. კ-ის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებით აღძრული ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყდა ნაწილობრივ; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, სარჩელის დაუშვებლობის გამო არ დაკმაყოფილდა კერძო საჩივრის ავტორების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის კერძო საჩივარი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის და შ. კ-ის დაკავებუ-

ლი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სრულად ბათილად ცნობაზე, ასევე სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის, ასევე აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და დავის ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანება მოსარჩელე შ. ი-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქ. დუშეთის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ი-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელე – შ. ი-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება მოსარჩელე ი. ჭ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ი. ჭ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ი. ჭ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის (2014 წლის 6 იანვრის) ბრძანება მოსარჩელე შ. კ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. კ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურში ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შ. კ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გა-



დაუნყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 15 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები; მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა მოსარჩელების საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

2014 წლის 28 ივლისს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებაში უსწორობის გასწორება, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტების ტექსტებში ამავე სარეზოლუციო ნაწილის სხვა პუნქტების ნუმერაციაზე არასწორად იქნა მითითებული.

2014 წლის 28 ივლისს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა კვლავ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა – შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ისათვის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა კვლავ მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისისა და 2014 წლის 17 ივლისის შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში და ამავე თარიღის განჩინებაში უსწორობის გასწორება, კერძოდ, ერთ-ერთი მოსარჩელის (აპელანტის) მ. ფ-ის ნაცვლად მითითებულია მ. ფ-ი.

2014 წლის 28 ივლისს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის სხდომის ოქმში შენიშვნების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ



საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა სასამართლოს საპროცესო აქტებში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე. გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 გადაწყვეტილების, ასევე 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 განჩინების სარეზოლუციო ნაწილებში დაშვებული შეცდომა იმგვარად, რომ ყველგან ნაცვლად გვარ-სახელისა „მ. ფ-ი“, მიეთითა გვარ-სახელი „მ. ფ-ი“; გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული შეცდომა იმგვარად, რომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტში მიეთითა იმავე სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი (ნაცვლად 1-ლი პუნქტისა), ხოლო მე-6 პუნქტში – მე-4 პუნქტი (ნაცვლად მე-2 პუნქტისა). აპელანტებს – შ. ი-ს, ი. ჭ-ს და შ. კ-ს (წარმომადგენელი ი. პ-ი), უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე; აპელანტებს (წარმომადგენელი ი. პ-ი) უარი ეთქვათ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმის სისწორისა და სისრულის დადასტურებაზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განჩინება სასამართლოს საპროცესო აქტებში დაშვებული უსწორობების გასწორების, ასევე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრით.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ შუამდგომლობა უსწორობის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ დაუყოვნებლად აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტზე, 269-ე და 270-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ აპელანტები შუამდგომლობაში აღნიშნული მსჯელობის ფარგლებში მიზნად ისახავენ, თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენის გზით უზრუნველყონ თავიანთი თავები და ოჯახის წევრები მატერიალურად, ასევე თავიდან აიცილონ ის მატერიალური ზარალი, რომელსაც ისინი

განიცდიან სამომავლოდ, თუკი დროულად არ მოხდება მათ სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 268-ე მუხლის შესაბამისად, შრომით-სამართლებრივ დავაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხი ისეთი საკითხია, რომლის გადაწყვეტის შედეგები (ანუ დაკმაყოფილება/არდაკმაყოფილება) დამოკიდებულია შუამდგომლობის დასაბუთებულობის ხარისხზე, შუამდგომლობის ნაწილში წარდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობასა და უტყუარობაზე, ვინაიდან, აპელანტი მხარე შუამდგომლობის დასაბუთების მიზნით მიუთითებს თავიანთი თავებისა და ოჯახის წევრების მატერიალურად უზრუნველყოფის აუცილებლობაზე, აპელანტებს უნდა შეეძლოთ თავიანთი ქონებრივი/სოციალური მდგომარეობის ამსახველი გარემოებების არა მარტო დასახელება, არამედ შესაბამისი სახისა და შინაარსის მტკიცებულებებით დადასტურება; სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული, მასში არ არის მითითებული ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე და არ არის წარმოდგენილი იმ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც ხელს შეუწყობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმის სისწორისა და სისრულის განხილვა/დადასტურების თაობაზე, ვინაიდან, 2014 წლის 7 ივლისის სასამართლო სხდომის ჩანერა განხორციელდა ტექნიკური საშუალების (კომპიუტერის) გამოყენებით; სხდომის ოქმის, როგორც ელექტრონული, ისე წერილობით ქალაქში შესრულებული ვერსია სრულად აკმაყოფილებს სსკ-ის 288-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მოთხოვნებს; სხდომის ოქმში სრულად არის ასახული სხდომის მიმდინარეობა, სხდომის ყველა ეტაპი, სასამართლოსა და მხარეთა მიერ შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება, სხდომის ოქმში ასახული მოქმედება თუ ზეპირსიტყვიერი განმარტება ნამდვილია, მათ ნამდვილად ჰქონდათ ადგილი სხდომის მიმდინარეობისას, სააპელაციო პალატამ მიიჩნევს, რომ არ არსებობს სხდომის ოქმის მიმართ შენიშვნების წარდგენის/გაზიარების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. რაც შეეხება მოთხოვნას 2014 წლის 7 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმთან დაკავშირებით საქმეზე წარმოდგენილი და თანდართული დოკუმენტების დედნების სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო-

სათვის გადაგზავნის თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ სასამართლოსათვის სახელმძღვანელოდ სავალდებულო საპროცესო შინაარსის საკანონმდებლო აქტები – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სასამართლოს არ აკისრებს კონკრეტულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდგომ აღნიშნული სახის მოქმედებების შესრულების უფლებამოსილებას/ვალდებულებას.

მითითებული განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე უარის თქმის ნაწილში კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მა. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა და მოითხოვა შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან საქმის სააპელაციო პალატისათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან მიმართებაში, ხოლო მასზე წარდგენილი სააპელაციო პრეტენზიები ასევე უარყოფილ იქნა სააპელაციო პალატის მიერ. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან მიმართებაში, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინებები იურიდიულად დაუსაბუთებელია, როგორც პირველი, ასევე, სააპელაციო სასამართლოს მიერ, სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ დასაცავი სწორედ შრომითი უფლება იყო, რაც დაკავშირებულია არსებობის მინიმალური პირობების შექმნასთან, ხოლო მის გარეშე შეუძლებელი იყო კანონიერი გზით რაიმე შემოსავლის მიღება მოსარჩელეების მხრიდან, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ასაკოვანი მშობლები, უმუშევარი მეუღლეები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც კანონის საფუძველზე საჭიროებენ ზრუნვას მოსარჩელე პირთა მხრიდან.

ანაზღაურების სოციალური მნიშვნელობა წამოწეულია, ასევე, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის №1876-რს დადგენილებით რატიფიცირებული „ევროპის სოციალური ქარტიის“ (სტრასბურგი, 03.05.1996წ.) 24-ე მუხლით, რომლის თანახმად, „დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში, მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულიებას იღებენ აღიარონ მუშაკთა მიერ სათანადო კომპენსაციის ან სხვა შესაბამისი ანაზღაურების მიღების

უფლება საპატიო მიზეზების გარეშე დასაქმების (დროებითი) შეწყვეტის შემთხვევაში“. სააპელაციო პალატამ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოსარჩელებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევით არ შეეძლოთ საკუთარი თავებისა და მათ კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის კანონიერი საარსებო წყაროს მინიმალური მოპოვებაც კი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის და შ. კ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სრულად ბათილად ცნობაზე, ასევე სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის, ასევე აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და დავის ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანება მოსარჩელე შ. ი-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ი-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიცი-

პალიტიკის გამგეობას დაევალა მოსარჩელე შ. ი-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება მოსარჩელე ი. ჭ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ი. ჭ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ი. ჭ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის (2014 წლის 6 იანვრის) ბრძანება მოსარჩელე შ. კ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. კ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურში ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შ. კ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 15 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები; მოპასუხეს – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა მოსარჩელების საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა ძალაში.

დადასტურებულია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში და სწორედ ამ ნაწილში ითხოვდა შუამდგომლობის ავტორი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებად მიქცევას, იმ მოტივით, რომ კმაყოფაზე ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ასაკოვანი მშობლები, უმუშევარი მეუღ-

ლები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც კანონის საფუძველზე საჭიროებენ ზრუნვას მოსარჩელე პირთა მხრიდან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევები, კერძოდ, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები: ა) აღიმენტის მიკუთვნების შესახებ; ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ; გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ; დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ; ე) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები; ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

საკასაციო სასამართლო მიზაშენონილად მიიჩნევს განმარტოს ზემოდასახელებული მუხლი და მიუთითებს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას უკავშირებს მის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტს, თუმცა კანონმდებლობა გამოაკლისს უშვებს, რა დროსაც შესაძლებელია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. ასეთ დროს გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიეცემა მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, რაც დასაშვებია კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში ან ისეთი გარემოებების სარწმუნოდ დადასტურებისას, რომელთა დადგომა მომავალში გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს გახდის ან გადამხდევინებელს სერიოზულ ზიანს მიაყენებს.

საკასაციო სასამართლო, ასევე განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი ჩამოთვლილი პირობების არსებობას უკავშირებს სასამართლოს უფლებამოსილებას და არ ზღუდავს იმპერატიულობით, რაც იმას ნიშნავს, რომ საპროცესო მხარე, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, დამაჯერებლად უნდა ადასტურებდეს და ასაბუთებდეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების აუცილებლობას, სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების მოცემულ ეტაპზე მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას. საკასაციო სასამართლო იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, აღნიშნულთან დაკავშირებით, და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაასაბუთა, თუ რა სახის ზიანი მიადგება მას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღუსრულებლობის შემთხვევაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არსებითად სწორი განჩინება დაადგინა გასაჩივრებულ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში და წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში;
3. საკასაციო სასამართლო განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის  
თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება**

**ბანკინება**

№ბს-419-539-კ-03

11 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს „ი-ს“ დირექტორის გ. ჯ-ს განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

**საკასაციო სასამართლომ გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.2004წ. გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ქობულეთის სახელმწიფო რეზიდენცია „ი-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 28.05.2003წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ქობულეთის სახელმწიფო რეზიდენცია „ი-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისრა 23 625 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ და ადვოკატის მომსახურებაზე განეული ხარჯის – 100 ლარის ანაზღაურება.

13.02.2014წ. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „ი-ს“ დირექტორმა გ. ჯ-მ და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.2004წ. გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რაზეც ეთქვა უარი იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ საქმეზე 24.03.2004წ. გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, რომლის დედანი გადაგზავნილია თბილისის სააღსრულებო ბიუროში.

28.04.2014წ. საკასაციო სასამართლოს განმეორებით მომართა შპს „ი-ს“ დირექტორმა გ. ჯ-მ და მოითხოვა სააღსრულებო



ფურცლის გაცემის საკითხის შესწავლა, სააღსრულებო ფურცლისა და გადაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულებების ასლების მიწოდება, რის შესახებაც განმცხადებელს განემართა, რომ სააღსრულებო ფურცლის დედანი 24.03.2004წ. გადაგზავნილი იყო თბილისის სააღსრულებო ბიუროში, რისი დამადასტურებელი გზავნილის ასლიც გადაეგზავნა განმცხადებელს.

15.10.2015წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „ი-ს“ დირექტორმა გ. ჯ-მ და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა იმ საფუძვლით, რომ სააღსრულებო ფურცლის დედანი დაკარგულია. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად განმცხადებელმა წარმოადგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს 28.07.2014წ. წერილი, რომლის მიხედვით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმის წარმოებისა და საინფორმაციო სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სააღსრულებო წარმოება, სადაც კრედიტორია საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ქობულეთის სახელმწიფო რეზიდენცია „ი-ა“, ხოლო მოვალე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეგისტრირებული არ არის.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მოთხოვნა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში ორგანოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი. ამავე კანონის 21.1 და 24-ე მუხლების მიხედვით დგინდება, რომ სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე ან მის უფლებამონაცვლეზე.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის

და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის კრედიტორის უფლებამონაცვლეზე გაცემის ორ შესაძლებლობას: პირველ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა ნათელია და, ამდენად, დამოუკიდებელი წარმოების გარეშე, მხოლოდ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის საფუძველზე ხდება სააღსრულებო ფურცლის გაცემა, ხოლო მეორე შემთხვევაში, უფლებამონაცვლეობის დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტაციის საშუალებით, რის გამოც დაინტერესებული პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილ განცხადებას არ ახლავს იმისი დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ შპს „ი-ა“ წარმოადგენს სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ქობულეთის სახელმწიფო რეზიდენცია „ი-ს“ უფლებამონაცვლეს, უფლებამონაცვლეობა არ არის ცხადი და, აღნიშნული, არც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტით, ან სასამართლოს განჩინებით დასტურდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ი-ს“ მოთხოვნა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

## **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ი-ს“ დირექტორის გ. ჯ-ის განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სააღსრულებო ფურცლის გაცემის სანდაზმულობა

## განჩინება

№ბს-833-825(კს-15)

17 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სააღსრულებო ფურცლის გაცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 10 დეკემბერს ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე – ნ. გ-ის მიმართ.

მოსარჩელემ უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა, კერძოდ, ნ. გ-ის ქ. თბილისი, ... I კვ, 23-ე კორპ. ბ. 8 გამოსახლება მოითხოვა.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა; ნ. გ-ე გამოსახლებულ იქნა მის მიერ უსაფუძვლოდ დაკავებული ერთოთახიანი იზოლირებული ბინიდან, მდებარე ქ. თბილისში, ... I კვ, 23-ე კორპ. ბ. 8.

ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ნ. გ-ემ 2003 წლის 16 მაისს შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას, რომლითაც ქ. თბილისში, მდებარე ... I კვ, 23-ე კორპ. ბინა №8-ის მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამ-

გეობის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; დაკმაყოფილდა ნ. გ-ის შეგებებული სარჩელი; ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას დაევალა ნ. გ-ისათვის ქ. თბილისში, მდებარე ... I კვ, 23-ე კორპ. №8 ბინის დროებით სარგებლობაში გადაცემა.

ნ. გ-ის განცხადების საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 21 ოქტომბერს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მხარეს არ ჩაბარებია.

2015 წლის 6 ოქტომბერს ნ. გ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ნ. გ-ის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს, ასევე ამავე კოდექსის 142-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისადაც, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაც არის 10 წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2004 წლის 15 ივნისს. შესაბამისად, ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო აღნიშნული თარიღიდან და დასრულდა 2014 წლის 15 ივნისს.

ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2004 წლის 9 ივლისს ნ. გ-ემ მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, სასამართლოს მიერ ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მხარეს ჩაბარებული არ აქვს და საქმეში წარმოდგენილია დედნის სახით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანო-

ნის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი გაცივება იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ რამდენადაც სააღსრულებო ფურცლის გაცივების მიზანს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ვადა განცხადების შემოტანის მომენტისათვის გასულია, განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას სააღსრულებო ფურცლის გაცივებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. გ-ემ, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცივება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 1986 წლიდან დღემდე იმყოფება აღრიცხვაზე ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, მე-2 ჯგუფის ინვალიდია. ამასთან, მისი საყოფაცხოვრებო პირობები დამოკიდებულია სწორედ იმ სააღსრულებო ფურცლის მიხედვით აღსასრულებელ ქმედებაზე, რომლის თანახმად ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ... პირველი კვ. 23-ე კორპ. მდებარე №8 ბინა დროებით სარგებლობაში გადაეცა და სურს საკუთრების უფლების მოპოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი განჩინება, ნ. გ-ის განცხადება ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცივების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს; ნ. გ-ეს გადაეცეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 21 ოქტომბერს გაცივებული სააღსრულებო ფურცლის დედანი, შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამარ-

თლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; დაკმაყოფილდა ნ. გ-ის შეგებებული სარჩელი; ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას დაევალა ნ. გ-ისათვის ქ. თბილისში, ... I კვ, 23-ე კორპ. მდებარე №8-ის ბინის დროებით სარგებლობაში გადაცემა.

ნ. გ-ის განცხადების საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 21 ოქტომბერს ამოინერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მხარეს არ ჩაბარებია.

2015 წლის 6 ოქტომბერს ნ. გ-ემ კვლავ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ნ. გ-ის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხანდაზმულობის მოტივით.

მოცემულ შემთხვევაში დავის არსს და სასამართლოს მსჯელობის საგანს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა წარმოადგენს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე, თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამო-

ქალაქო სამართლის კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები, სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელმეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს, ხოლო ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა განისაზღვრება 10 წლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას.

კანონმდებლობა ხანდაზმულობის ვადას აწესებს, ასევე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულ უფლებაზეც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ნ. გ-ის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებაში, მაგრამ აქვე მიუთითებს, რომ, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 2004 წლის 9 ივლისს ნ. გ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 21 ოქ-



ტომბერს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მხარეს არ ჩაბარებია, სააღსრულებო ფურცლის დედანი არის საქმეში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი განჩინება; ნ. გ-ეს მიეცეს საქმეში არსებული თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედანი, ხოლო ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე ეთქვას უარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი განჩინება;
3. ნ. გ-ეს მიეცეს საქმეში არსებული თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედანი, ხოლო ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე ეთქვას უარი;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააღსრულებო ნარმოების შეჩერება, როგორც  
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება**

**განჩინება**

№ბს-206-205(უს-16)

11 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რიცხული საგადასახადო დავალიანების კორექტირება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“ 11.04.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 14.03.2014წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და გადასახადის გადამხდელის – შპს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული დავალიანების კორექტირების მოთხოვნით.

06.06.2014წ. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი სადავოდ ხდის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული დავალიანების ოდენობას. კანონიერ ძალაში მყოფი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 30.05.2011წ. ბრძანებით, რომლის აღსასრულებლად მიქცევაც განხორციელდა 27.10.2011წ. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, დადგინოლია, რომ შპს „...“ ქონების რეალიზაცია უნდა მოხდეს რიცხული დავალიანების ფარგლებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.03.2015წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 14.03.2014წ. გადაწყვეტილება და მოპასუხე – საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტროს დაევალა გარემოებათა გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ შემოსავლების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

16.02.2016წ. შპს „...“ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ განსახილველი დავის საგანია გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული თანხის ოდენობა, მიუხედავად ამისა, აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სააღსრულებო საქმე შპს „...“ ქონების რეალიზაციის თაობაზე, იმ დავალიანების გადახდევინების მიზნით, რომლის ოდენობა მიმდინარე საქმის დავის საგანია და აღნიშნულ საკითხზე ჯერ არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ იძულებით აუქციონზე შპს „...“ ერთადერთი ქონების რეალიზაცია აზრს დაუკარგავს მიმდინარე დავას და მიღებული გადაწყვეტილებით დამდგარ სამართლებრივ შედეგს, რადგან უძრავი ნივთის რეალიზაცია განხორციელდება არაკორექტირებადი დავალიანების ფარგლებში, საზოგადოება გააკორექტირება და მიიღებს შეუქცევად ზიანს. ამდენად, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სახეზეა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო პალატამ აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლოს 17.03.2015წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 14.03.2014წ. გადაწყვეტილება შპს „...“ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. ამდენად, ვიდრე სადავო გადასახადის გადამხდელზე დარიცხული დავალიანების ოდენობა, სააღსრულებო ბიურო არ არის უფლებამოსილი მოახდინოს შპს „...“ ქონების რეალიზაცია, რის გამოც სააღსრულებო წარმოება უნდა შეჩერდეს განსახილველი საქმის გადაწყვეტამდე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.02.2016წ. განჩინებით შპს „...“ განცხადება

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი არის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფი და ეფექტური საპროცესო-სამართლებრივ გარანტია. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია იმ პირობებში, როცა მხარე განცხადებაში კონკრეტულად და რეალურად მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომლის აცილებაც შეუძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული სსკ-ის 191-ე მუხლით დადგენილი დანაწესი, რომელიც განმცხადებელს ავალდებულებს მიუთითოს: იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას; მიუთითოს მონინალმდებელს მხარის იმ ქონებაზე ან ფულად სახსრებზე, რომელთა მიმართაც უნდა მოხდეს უზრუნველყოფა და მიუთითოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებაზე, რომლის გატარებაც განმცხადებელს მიაჩნია აუცილებლად. სააპელაციო პალატამ სსკ-ის 191-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა ყველა შემთხვევაში მიმართულია მოპასუხის წინააღმდეგ. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნილია აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული №110066098 სააღსრულებო საქმის შეჩერება იმ ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც წარმოებს შპს „...“ სარჩელის საფუძველზე, მოპასუხე შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და რიცხული დავალიანების კორექტირების მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიმართულია იმ ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ, რომელიც საქმეში მხარედ არ არის დასახელებული და არ წარმოადგენს მოპასუხეს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუსაბუთებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივ საფუძველად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტზე მითითება, რადგან განსახილველი

დავის საგანია საგადასახადო ორგანოს მიერ დარიცხული თანხების კანონიერების შემოწმება, ხოლო შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ნორმა ანებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შეჩერების შესაძლებლობას, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამორიცხავს განსახილველ ურთიერთობაზე მითითებული მატერიალური ნორმის გავრცელების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია წარმოებს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების მექანიზმების გამოყენებით, რომელიც რეგულირდება ასკ-ის 21<sup>21</sup>-21<sup>23</sup> მუხლებით და დავის არსებობის პირობებში ანებს კრედიტორის დაცვის დამოუკიდებელ მექანიზმებს.

აღნიშნულ განჩინებაზე შპს „...“ საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, თუმცა სააპელაციო პალატის 07.03.2016წ. განჩინებით შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული განჩინება და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.02.2016წ. განჩინებაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსათვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. სარჩელის უზრუნველყოფის სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობა განპირო-

ბებულება უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფის საჭიროებით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით (ობიექტური ფაქტორი) და გარდაუვალობით (სუბიექტური ფაქტორი). განსახილველ შემთხვევაში შპს „...“ ითხოვს სააღსრულებო წარმოების შეჩერებას მიმდინარე საქმის განხილვის დასრულებამდე იმ საფუძვლით, რომ განსახილველი დავის საგანია იმ საგადასახადო დავალიანების ოდენობა, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს სააღსრულებო წარმოების გზით შპს „...“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძვლები განსაზღვრულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლით, რომელიც ადგენს აღსრულების შეჩერებას სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუმცა აღნიშნული ნორმა არ ადასტურებს აღსრულების შეჩერების, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ზომის, გამოყენებაზე უარის თქმას, ვინაიდან ხსენებული მუხლი არ შეიცავს აღსრულების შეჩერების ამომწურავ ჩამონათვალს, 36.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულება შეიძლება შეჩერდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც. სსკ-ის 198-ე მუხლი ჩამოთვლის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს (მაგ.: ყადაღა, მოპასუხისათვის ქმედების შესრულების აკრძალვა და სხვ.), ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, ნორმა ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ჩამოთვლილისაგან განსხვავებული ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებისათვის. ამდენად, ის გარემოება, რომ განსახილველი შემთხვევა – სააღსრულებო წარმოების შეჩერება, არ არის პირდაპირ მითითებული სსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალში, არ ადასტურებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობას. სარჩელის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დაშვებული, აუკრძალავი იძულებითი ხასიათის იმ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც სასამართლო იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით, მოსარჩელისათვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, აღსრულების უზრუნველსაყოფად. სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფის მიზნის გათვალისწინებით.

უკვე აღინიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-

ება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება, იგი მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მიმდინარე დავის საგანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 14.03.2014წ. გადაწყვეტილებისა და შპს „...“ სახელზე რიცხული საგადასახადო დავალიანების კანონიერების შემოწმება. აღნიშნულის პარალელურად აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია №110066098 სააღსრულებო საქმე, რომელშიც კრედიტორია – სსიპ შემოსავლების სამსახური, ხოლო მოვალე – შპს „...“, სააღსრულებო წარმოება დაწყებულია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 30.05.2011წ. №3/16-11 ბრძანების და ამ ბრძანების აღსასრულებლად გაცემული 27.10.2011წ. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 30.05.2011წ. №3/16-11 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით მოვალეს სსიპ შემოსავლების სამსახურს ნება დაერთო ღია აუქციონის ჩატარებაზე მოვალის – შპს „...“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით, რეალიზაციის დროისათვის არსებული დავალიანების ფარგლებში. აღიარებული დავალიანების კონკრეტული ოდენობა ბრძანებაში სასამართლოს მიერ განსაზღვრული არ არის, დადგენილია მხოლოდ, რომ შპს „...“ ერიცხება გარკვეული ოდენობის აღიარებული საგადასახადო დავალიანება, რაც ქმნის ამ დავალიანების ფარგლებში გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის საფუძველს. აღნიშნული ბრძანების განმარტება, შპს „...“ და აღმასრულებლის განცხადებების მიუხედავად, სასამართლოს მიერ არ მომხდარა იმ საფუძველით, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 30.05.11წ. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი. ამდენად, აღსასრულებლად მიქცეულია კანონიერ ძალაში შესული ისეთი ბრძანება, რომელშიც კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღსასრულებელი თანხა და მხოლოდ ზოგადად არის მითითებული აღსრულების ფარგლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საფუძველიანია შპს „...“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით №110066098 სააღსრულებ-



ბო წარმოების შეჩერების შესახებ, რადგან სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სწორედ იმ დავალიანების გადახდევინების მიზნით, რომელიც სადავოდ არის გამხდარი მიმდინარე დავაში.

შუამდგომლობის დაკმაყოფილების დამაბრკოლებელ საფუძველს არ ქმნის სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიურო არ არის მოპასუხე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება – სააღსრულებო წარმოების შეჩერება მიმართულია მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის და არა სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საგადასახადო ორგანოს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით მოახდინოს საგადასახადო კანონმდებლობით საგასადახადო ორგანოს კომპეტენციისადმი დაქვემდებარებული ქმედების განხორციელება (3.1' მუხ.). განსახილველ დავაში უზრუნველყოფის ღონისძიება მიზნად ისახავს არა სააღსრულებო ბიუროს უფლებების შეზღუდვას ან მისთვის რაიმე ქმედების აკრძალვას, არამედ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 30.05.2011წ. №3/16-11 ბრძანებით მოპოვებული აღსრულების უფლების განხორციელების შეჩერებას, რათა არ მოხდეს მოვალის კანონმდებლობით დაცული ინტერესის დაუსაბუთებელი შელახვა საგადასახადო დავალიანების რეალურად არსებულზე მეტი ოდენობით გადახდევინებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააღსრულებო წარმოება მიმართულია უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე კრედიტორის მოთხოვნის რეალიზაციისაკენ, ყოველი სააღსრულებო ქმედება ხორციელდება აღნიშნული შედეგის მიღწევის მიზნით, მოვალისა და კრედიტორის ინტერესების, კანონმდებლობით განსაზღვრული აღსრულების წესისა და პირობების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით. ამასთანავე, სააღსრულებო ბიურო სააღსრულებო პროცესში არ გვევლინება დამოუკიდებელ მხარედ, მას არ აქვს დამოუკიდებელი, პირადი ინტერესი აღსრულების მიმდინარეობის (შეჩერების, შეწყვეტის და სხვ.) თუ დამდგარი შედეგის მიმართ, აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების

მეშვეობით, აღსასრულებელი გადანყვეტილებების იძულებითი აღსრულების პროცედურებს ახორციელებს („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 3.1, 5.1 მუხ.). აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით აღსრულების ქვემდებარე აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგი ხორციელდება არსებულ რეალობაში. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ვერ განხორციელდება სააღსრულებო წარმოების შეჩერება იმის გამო, რომ სააღსრულებო ბიურო დავის მოპასუხე არ არის. სააღსრულებო წარმოების შეჩერება აფერხებს კრედიტორის უფლების – საგადასახადო დავალიანების გადახდვინების მიზნით შპს „...“ ქონების აუქციონზე რეალიზაციის განხორციელებას, შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა მიმართულია მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის და არა აღსრულების ეროვნული ბიუროს ან მისი ტერიტორიული ორგანოების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე უნდა შეჩერდეს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ 27.10.2011წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში მიმდინარე სააღსრულებო წარმოება (საქმე №11066098, კრედიტორი: სსიპ შემოსავლების სამსახური, მოვალე: შპს „...“).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „...“ საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.02.2016წ. განჩინება;
3. საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე უნდა შეჩერდეს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ 27.10.2011წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში მიმდინარე სააღსრულებო წარმოება (საქმე

№11066098, კრედიტორი: სსიპ შემოსავლების სამსახური, მოვალე: შპს „...“);

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გადანყვიტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის წინაპირობები**

### **განჩინება**

№ბს-400-395(2კ-16)

25 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**მოსამართლე ვ. როინიშვილი**

ზეპირი განხილვის გარეშე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის საფუძველზე, განვიხილე ა. ს-ას შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე (კასატორები: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია; ა. ს-ა)

### **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე – ა. ს-ას სარჩელისა გამო, მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანების ბათილად ცნობის, ა. ს-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის, იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდის, 2009, 2010, 2011, 2013 და 2014 წლებში გამოუყენებელი შვებულების სრულად ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა. ს-ას საკასაციო საჩივრები.

მოსარჩელის გადაუდებელი კანონიერი ინტერესის არსებობისა და მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით ა. ს-ს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ასევე, შუამდგომლობს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იქნეს მიქცეული მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღძრული შუამდგომლობის დასაბუთება-საფუძვლიანობის შემონების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით ა. ს-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანება ა. ს-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. დაევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია ის გადაწყვეტილებები, რომლებიც სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს. კასატორი შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებს აღნიშნული მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებზე, რომელთა შესაბამისად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები: მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ და უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირვე-

ლი ნაწილით გათვალისწინებული არცერთი შემთხვევა არ არის გადაწყვეტილი. შუადგომლობის ავტორის მიერ დასმული საკითხი რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლით, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია, ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. შესაბამისად, სასამართლოს არ გააჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. რის გამოც, არ არსებობს ა. ს-ას შუამდგომლობის დაკმაყოფილების პროცესუალური წინაპირობა.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399, 372, 284-ე, 285-ე მუხლით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ს-ას შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

## განჩინება

№ბს-217-216(3კ-უს-16) 14 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. დ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.2016წ. განჩინებაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. დ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მესამე პირების დ. ბ-ის და ვ. კ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ნ. დ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მ. გ-ის, ვ. კ-ის და დ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების არარად აღიარება, ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.02.2013 წ. №26444 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.09.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.03.2013 წ. №26444 გადაწყვეტილება სრულად და დაევალა მოპასუხე მხარეს გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 13.08.2012წ. №1/921-12 (№007111431) განაჩენის და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დიდ დილომში მდებარე ნ. დ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მ. გ-ის, ვ. კ-ის და დ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არარად აღიარე-

ბის თაობაზე მსჯელობა. მოპასუხე მხარეს დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ოდენობით გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ნ. დ-მა და დ. ბ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.07.2015წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაწყვეტად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.02.2013წ. №26444 გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. დ-ს უარი ეთქვა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 07.03.2011წ. №...-03 აქტის (მ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ) არარად აღიარების თაობაზე და დავალა მოპასუხე მხარეს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 13.08.2012წ. №1/921-12 (№007111431) განაჩინისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ... მდებარე ნ. დ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების არარად აღიარების თაობაზე მსჯელობა. დანარჩენ ნაწილში ნ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ნ. დ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის სადავო მიწის ნაკვეთზე მოქმედებების განხორციელების აკრძალვის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.01.2015წ. განჩინებით განცხადებაზე დადგინდა ხარვეზი, კერძოდ, განმცხადებელს დაეკისრა მოთხოვნის დაზუსტების შესახებ განცხადებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარდგენა სააპელაციო სასამართლოსათვის, განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში.

ხარვეზის გამოსწორების მიზნით ნ. დ-მა სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ასევე განცხადება მოთხოვნის დაზუსტების შესახებ, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრუ-



ლების უზრუნველყოფა.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ნ. დ-მა და დ. ბ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.2016წ. განჩინებით ნ. დ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაზეც ნ. დ-მა წარადგინა საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.03.2016წ. განჩინებით ნ. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს 06.05.16წ. განჩინებით ნ. დ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. დ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.2016წ. განჩინებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირის მატერიალურ-სამართლებრივი უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფა თავის თავში მოიცავს უფლების დაცვის როგორც ძირითად, ასევე დამატებით საშუალებებს. უფლების დაცვის ძირითადი საშუალებაა სასარჩელო წარმოება, ხოლო დამატებითი საშუალებაა საგანმცხადებლო წარმოება, რომელიც ცალკე, იზოლირებულად არ არსებობს და არსებით კავშირშია სასარჩელო წარმოებასთან, მისი თანმდევია. მათი ერთობლიობა კი ქმნის სასამართლო დაცვაზე უფლების რეალიზების საპროცესო-სამართლებრივ მექანიზმს. უფლების სასამართლო წესით დაცვის საგანმცხადებლო წარმოების სახეობა – სარჩელის უზრუნველყოფა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას სასამარ-

თლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადანყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას (სსკ 191-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადანყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. აღნიშნული ნორმა მხარეს აძლევს შესაძლებლობას ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა მოითხოვოს, რისთვისაც მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. გადანყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადანყვეტისას უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადანყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში ნ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.02.2013წ. №26444 გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. დ-ს უარი ეთქვა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 07.03.2011წ. №...-03 გადანყვეტილების (მ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ) არარად აღიარებაზე და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილების არარად აღიარების თაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ნ. დ-ის მოთხოვნა სადავო ნივთის ამჟამინდელი მესაკუთრის დ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის არარად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ნ. დ-ი განცხადებით ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს

მასზედ, რომ სარჩელი არ არის სრულად დაკმაყოფილებული, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით მარეგისტრირებულ ორგანოს დავალებული აქვს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მხოლოდ მ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ნაწილში. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება სადავო მინის ნაკვეთის რამოდენიმეჯერ გაყიდვა, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გავლენას ვერ მოახდენს შედეგზე. შესაბამისად, კანონშესაბამისია სააპელაციო სამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოცემულ პირობებში არ არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. დ-მა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, რომ ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან ხელი შეეშლება გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, სარჩელის ზემოთ მითითებულ ნაწილში დაკმაყოფილების პირობებში საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, სააპელაციო სამართლოს მიერ სწორად ეთქვა უარი საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.07.2015წ. გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები, რის გამოც ნ. დ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.2016წ. განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 191-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით, და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.2016წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სამუშაოზე აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

## განჩინება

№ბს-125-124(კ-კს-17)

7 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრუ-  
ლებლად მიქცევა

### აღწერილობითი ნაწილი:

თ. დ-მ 2014 წლის 11 დეკემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია-ში მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ, საბოლოოდ, მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ატესტაციის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის №1 სხდომის ოქმში ასახული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შეფასებაზე თ. დ-ის მიერ წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 24 ნოემბრის №7 სხდომის ოქმში ასახული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა თ. დ-ის მიმართ დადგენილი შედეგის ნაწილში; თ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 15 დეკემბრის №2319 ბრძანების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თ. დ-ის თანამდებობაზე აღდგენის დავალება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თ. დ-ის სასარგებლოდ იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალება თანამდებობიდან გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიოდისათვის დარიცხული პრემიებისა და დანამატების ჩათვლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 თებერვლის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე მხარემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე

და მოპასუხე მხარედ მიუთითა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია; ქ. თბილისის მერიის საკონკურსო-საატესტაციო კომისია; ქ. თბილისის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის №1 სხდომის ოქმში ასახული გადაწყვეტილება თ. დ-ის მიმართ გამოტანილი დასკვნის ნაწილში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 24 ნოემბრის №7 სხდომის ოქმში ასახული გადაწყვეტილება თ. დ-ის მიმართ გამოტანილი დასკვნის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 15 დეკემბრის №2319 ბრძანება თ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და ქ. თბილისის მერიას დაევალა, თ. დ-ე აღადგინოს ქ. თბილისის მერიის ... თანამდებობაზე; ქ. თბილისის მერიას თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 15 დეკემბრიდან თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდისათვის მიუღებელი თანამდებობრივი სარგო; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. დ-ემ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საპრეტენზიო კომისიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინებით თ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საპრეტენზიო კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება.

თ. დ-ემ 2016 წლის 29 დეკემბერს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილების იმ ნაწილის დაუყოვნებლივ აღსასრულებ-

ლად მიქცევა, რომლითაც ქ. თბილისის მერიას დაევალა მოსარჩელე თ. დ-ის აღდგენა ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ... თანამდებობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით თ. დ-ის განცხადება – გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2. პუნქტი „ქ. თბილისის მერიას დაევალოს თ. დ-ე აღადგინოს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ... თანამდებობაზე“ მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინების სამართლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რადგან დასაბუთება არასრულია, აღნიშნული კი ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს გასაჩივრებული განჩინების უკანონობის თაობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი და კერძო საჩივრის საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენის დროისათვის არ არის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც უდავოდ დაადასტურებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თ. დ-ის სამსახურში აღდგენის ვალდებულებას. შესაბამისად, ვინაიდან მხარე ვერ ასაბუთებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების აუცილებლობას და არც გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული ამ აუცილებლობის შესახებ, აღნიშნულს კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად და მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით თ. დ-სათვის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინებით თ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საპრეტენზიო კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც თ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის №1 სხდომის ოქმში ასახული გადაწყვეტილება თ. დ-ის მიმართ გამოტანილი დასკვნის ნაწილში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 24 ნოემბრის №7 სხდომის ოქმში ასახული გადაწყვეტილება თ. დ-ის მიმართ გამოტანილი დასკვნის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 15 დეკემბრის №2319 ბრძანება თ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და ქ. თბილისის მერიას დაევალა, თ. დ-ე აღადგინოს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ... თანამდებობაზე; ქ. თბილისის მერიას თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 15 დეკემბრიდან თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდისათვის მიუღებელი თანამდებობრივი სარგო; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ და უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სა-მუშაოზე აღდგენის შესახებ.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო პა-



ლატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის დამაბრკოლებელი გარემოება, შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება თ. დ-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საპრეტენზიო კომისიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ნოემბრის განჩინება. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილების 1.2 პუნქტის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების შეცვლის ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# აღმასრულებლის გაფრთხილების განსაზღვრა

## განჩინება

№ბს-752-744(კს-16)

9 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**გასაჩივრებული განჩინება:** თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.06.16წ. განჩინება

### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ლ-ემ 06.06.14წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 15.02.14წ. AN№A14013542-004/009 გაფრთხილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ამასთან, მოსარჩელემ დააყენა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა სააღსრულებო წარმოების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.06.14წ. განჩინებით ლ. ლ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაზეც მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.07.14წ. განჩინებით ლ. ლ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.06.14წ. განჩინება და ლ. ლ-ის შუამდგომლობა ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.07.14წ. განჩინებით ლ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა და განსახილველ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეს-

ვლამდე შეჩერდა აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ქ. თბილისის განყოფილების წარმოებაში არსებული ლ. ლ-ის წინააღმდეგ მიმდინარე სააღსრულებო წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.07.14წ. განჩინებაზე დაინტერესებულმა მხარემ გ. ჩ-ემ შეიტანა საჩივარი. გ. ჩ-მ აღნიშნა, რომ დავა არ მიმდინარეობს ამ ქონების მესაკუთრის მიმართ საკუთრების კანონიერების საკითხთან დაკავშირებით. გ. ჩ-ემ მიუთითა, რომ სააღსრულებო წარმოების შეჩერება ლახავს როგორც საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას, მატერიალურ ზიანს აყენებს მას, რის გამოც საჩივრის ავტორმა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.08.14წ. განჩინებით გ. ჩ-ის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.07.14წ. განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა და გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, გ. ჩ-ის განცხადება დამდგარი ზიანის უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.11.14წ. განჩინებით გ. ჩ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა ამისთვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობის გამო.

26.02.15წ. გ. ჩ-ემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.03.15წ. საოქმო განჩინებით გ. ჩ-ე სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული.

26.03.15წ. გ. ჩ-ემ შუამდგომლობით მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სააღსრულებო წარმოების შეჩერების შეცვლა ყადაღის დადებით, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.03.15წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.02.16წ. გადაწყვეტილებით ლ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.07.14წ. განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ლ-მ და გ. ჩ-ემ.

გ. ჩ-ემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საქალა-

ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.02.16წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტა. აპელანტმა მიუთითა, რომ ლ-ის სასარჩელო მოთხოვნას სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა აღსრულების ეროვნული ბიუროს 15.02.14წ. გაფრთხილების ბათილად ცნობა, მოსარჩელეს არ მოუხდენია სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება. აპელანტმა აღნიშნა, რომ მოპასუხე და მესამე პირი მოითხოვდნენ არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, არამედ აყენებდნენ მოთხოვნას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სარჩელის დაუშვებლობის მოტივით, რაზეც საერთოდ არ არის მსჯელობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.02.16წ. გადაწყვეტილებაში. აპელანტმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული გაფრთხილება წარმოადგენს სააღსრულებო მოქმედებას, რომლის ერთჯერადად გასაჩივრების უფლება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე აქვს დაინტერესებულ მხარეს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან. ამასთან, სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი არის სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა. აპელანტის მითითებით, არათუ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, არამედ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი და შეწყდეს საქმის წარმოება, ვინაიდან, აღმასრულებლის გაფრთხილება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არ აკმაყოფილებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იმპერატიულ ნორმატიულ მოთხოვნებს და, შესაბამისად, არ მიიჩნევა ადმინისტრაციულ აქტად, რადგან არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.06.16წ. განჩინებით გ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც თავისი არსით არის სარჩელზე პირდაპირი პასუხი. პირი სარჩელის შეტანის გზით იცავს რა, თავის უფლებებსა და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის შესახებ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება უზრუნველყოფს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, რა-

საც ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, ვინაიდან გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილ იქნა გ. ჩ-ის სასარგებლოდ, რაც იწვევს მისი იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად კი წარემართება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს, მასში უნდა აისახოს სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი მსჯელობა) და შეფასებით მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება იცოდეს თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.06.16წ. განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ჩ-ემ. აპელანტმა მიუთითა, რომ აღნიშნული განჩინება დაუსაბუთებელია და არ შეიცავს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა შეწყდეს საქმის წარმოება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის დასაშვებობისათვის სავალდებულო პირობაა ისეთი აქტის არსებობა, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. აღმასრულებლის გაფრთხილება არის ინფორმაციული ხასიათის, ინფორმირება არ შეიძლება იყოს აქტი, რადგან აქტმა უნდა შეწყვიტოს ფართით სარგებლობის უფლება, რაც მხოლოდ გამოსახლების ოქმის მეშვეობით ხდება. ამასთან, მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს იურიდიული, ლეგიტიმური, პატივსადაები ინტერესი აღძრული სარჩელის გადაწყვეტისადმი. აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის უფლებას ან

კანონიერ ინტერესს ან უკანონოდ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება, ვინაიდან მოსარჩელე სადავო აქტთან დაკავშირებით კანონიერ ინტერესს ასაბუთებს უსაფუძვლო გარემოებაზე მითითებით, რითიც ცდილობს საქმის გაჭიანურებას. აპელანტი აღნიშნავს, რომ როგორც მოპასუხე, ისე მესამე პირი, მიიჩნევენ, რომ 22-ე მუხლის საფუძველზე აღსრულების პოლიციის გაფრთხილების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შესაგებელში და საქმის განხილვის ეტაპზეც არაერთხელ დააყენა შუამდგომლობა სარჩელის დაუშვებლად ცნობის შესახებ იმ მოტივით, რომ აღმასრულებლის გაფრთხილება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იგი არის სააღსრულებო მოქმედება, რომლის გასაჩივრების სპეციალური წესი დადგენილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით, რაც გულისხმობს დაინტერესებული მხარის მიერ ამ მოქმედების აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გასაჩივრებას. კერძო საჩივრის ავტორმა სასკ-ის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილზე მითითებით მოითხოვა დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან სარჩელი არ აკმაყოფილებს სასკ-ის 22-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის პირობებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საქართველოს უზენაესი სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ გ. ჩ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ჩ-ემ 26.02.15წ. შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგის 13.03.15წ. საოქმო განჩინებით გ. ჩ-ე საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე. სასკ-ის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა. ამდენად, გ. ჩ-ე სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტია.

სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გ. ჩ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად უთითებს მხოლოდ მხარის მიერ გადანყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრების დაუშვებლობაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე (სსკ-ის 249.5 მუხ.), აღსრულებაზე წარიმართება გადანყვეტილების სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 21-ე მუხ.), არ ადასტურებს გ. ჩ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერებას. გ. ჩ-ე სააპელაციო საჩივარში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველად უთითებს სარჩელის სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის პირობებისადმი შეუსაბამობას. აპელანტი აღნიშნავს, რომ სადავოდ გამძდარი აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 15.02.14წ. №A14013542-004/009 გაფრთხილების გასაჩივრება ემსახურება მხოლოდ დროის გაჭიანურებას, მესაკუთრისათვის საკუთრების გამოყენების ხელშეშლას. აპელანტი მოითხოვს გადანყვეტილების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადანყვეტილების მიღებით სასკ-ის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში აპელანტი სწორედ რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს ასაჩივრებს. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ჩ-ე სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა საქმის წარმოების შეწყვეტას. დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არ იკვეთება გ. ჩ-ის იურიდიული ინტერესი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თუმცა აპელანტი თვლის, რომ უნდა შეიცვალოს პირველი ინსტანციის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის ნაცვლად საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. სასამართლო წარმოების შეწყვე-



ტა არის საქმის დასრულების ფორმა განპირობებული კანონით გათვალისწინებული ისეთი გარემოებებით, რომლებიც სრულად გამორიცხავენ სასამართლო წარმოების შესაძლებლობას და, მაშასადამე, არსებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და საქმის წარმოების შეწყვეტას განსხვავებული სამართლებრივი შედეგი სდევს. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დავის არსებითი განხილვა საერთოდ არ ხდება, ამის საპირისპიროდ, დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქმე არსებითად განიხილება. ჩანსხვავდება, აგრეთვე, საქმის წარმოების შეწყვეტისა და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებების გასაჩივრების წესი. სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ხოლო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება საჩივრდება ზემდგომ ინსტანციებში. განსახილველ შემთხვევაში, აპელანტს სურდა საქმის წარმოების შეწყვეტა, არსებით განხილვაზე უარის თქმა და არა არსებითი განხილვის შედეგად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სააპელაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა მაშინ, როდესაც აპელანტი საქმის წარმოების შეწყვეტას ითხოვდა.

დასაშვებობის და უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხს შემხებლობა აქვს მატერიალური და პროცესუალური თვალსაზრისით სარჩელზე უფლებასთან. მატერიალური თვალსაზრისით სარჩელზე უფლება არის სარჩელის წარმდგენი პირის უფლება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. პროცესუალური თვალსაზრისით სარჩელზე უფლება – არის მოსარჩელის უფლება მიმართოს სასამართლოს სასარჩელო განცხადებით დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით. მატერიალური თვალსაზრისით სარჩელზე უფლების არარსებობა შედეგად იწვევს სასამართლოს გადწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. პროცესუალური თვალსაზრისით, სარჩელზე უფლების არარსებობა შედეგად იწვევს წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას, სარჩელის დაუშვებლობას, ხოლო უკეთუ აღნიშნული სასამართლოსთვის ცნობილი გახდება მოგვიანებით, გამოიწვევს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. სარჩელის დასაშვებობის სა-

კითხის გადაწყვეტისას სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე წყვეტს სარჩელის შესაბამისობას სასკ-ის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნებთან და 26<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განჩინებით წყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. სასამართლო ვალდებულია, მხარის მოთხოვნისგან დამოუკიდებლად, შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობის საკითხი. სასამართლოს ინიციატივით დასაშვებობის საკითხის შემოწმებას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი. სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები წარმოადგენენ საპროცესო წინამძღვრებს. არსებობს მხარეებთან მიმართებაში საპროცესო წინამძღვრები და დავის საგანთან არსებული წინამძღვრები. საპროცესო წინამძღვრები საჯარო ინტერესს გამოხატავს. საჯარო ინტერესი გამოიხატება იმაში, რომ სარჩელს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰყვეს შედეგი, როცა ყველა საპროცესო წინამძღვრები სახეზეა. სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს პროცესის დასაშვებობა მხარეთა დამოუკიდებლად. ამდენად, სარჩელის დასაშვებობის საკითხი შესაძლოა დადგეს სასამართლოს მიერ სარჩელის დასაშვებობა ცნობის შემდეგ, აგრეთვე ზედა სასამართლო ინსტანციებში. ამდენად, ის გარემოება, რომ სარჩელის დასაშვებობა არ გასაჩივრდება სასკ-ის 26<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული წესით, არ გამორიცხავს საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნის დასმას ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში, მით უფრო, რომ გ. ჩ-ე საქმეში ჩაება მოგვიანებით.

გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 15.02.14წ. №A14013542-004/009 გაფრთხილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე, თუმცა 11.06.15წ. მოსამზადებელი სხდომის ჩანაწერის მიხედვით მოსარჩელე მხარემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 15.02.14წ. №A14013542-004/009 გაფრთხილების, როგორც ქმედების უკანონოდ ცნობა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში სადავო გაფრთხილება განხილულია როგორც აღმასრულებლის ქმედება. კერძო საჩივრის ავტორი ეჭვქვეშ აყენებს გაფრთხილების მომწესრიგებელ ხასიათს და მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გაფრთხილება არ აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვა-

ლებებს, შესაბამისად, ის არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. აღნიშნულზე მოსარჩელემ თავადაც მიუთითა დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის წარდგენისას, რის გამოც გაასაჩივრა გაფრთხილება, როგორც რეალაქტი, საჯარო მოქმედება. ამასთანავე, აპელანტი სარჩელის დასაშვებობის, მისი არსებითი განხილვის გამომრიცხავ პირობად უთითებს არა მხოლოდ იმას, რომ გაფრთხილება არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ აგრეთვე იმას, რომ „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია გასაჩივრების სპეციალური წესი, აღნიშნული ნორმის თანახმად დაინტერესებულ მხარეს, აპელანტის მოსაზრებით, აქვს უფლება გაფრთხილება ერთჯერადად გაასაჩივროს მხოლოდ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან (კერძო საჩივრის ავტორი არ ეხება „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი ქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია სსკ-ის 364-ე და 374-ე მუხლების თანახმად, რომელთა მიხედვით შესაძლებელია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრება, არ ემყარება საქმის მასალებს და არის დაუსაბუთებელი. სააპელაციო სასამართლომ გ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე, ხოლო საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო აპელანტის ინტერესების შესაბამისი, რაც სააპელაციო პალატის აზრით გამორიცხავდა მის მიერ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებას აპელანტის იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო. სააპელაციო პალატის აღნიშნული დასკვნა არის დაუსაბუთებელი. ამასთანავე სააპელაციო სასამართლოს არ შეუმონმებია სსკ-ის 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობები.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, იმ გარემოებაზე, რომ კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

სცილდება გასაჩივრებულ განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივრის ფარგლებს, ვინაიდან საკასაციო პალატა, მოცემულ შემთხვევაში, უფლებამოსილია იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმის კანონიერებაზე და არა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის – გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლიანობაზე, აღნიშნული სააპელაციო საჩივრის არსებითი განხილვის საგანს შეადგენს. პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კერძო საჩივრის განხილვის შედეგად ქვედა ინსტანციის სასამართლოს არსებითი გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას. სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი არ უკავშირდება სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის კანონიერების გადაწყვეტას. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას შეადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნა, წარმოების შეწყვეტის საკითხი სააპელაციო საჩივრის არსებითი განხილვის საგანს შეადგენს და მასზე სააპელაციო სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. ჩ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.06.16წ. განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სარჩელის უზრუნველყოფა

### სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი

#### განჩინება

№ბს-874-856(უს-12)

9 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგაძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ტ. ლ-ის საჩივარი თბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
პალატის 29.10.2012 წ. განჩინებაზე და

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს ტ. ლ-მა და თ. ნ-მა მოპა-  
სუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ (მესამე პი-  
რების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის  
სააღსრულებო ბიურო, ქ.რუსთავის საკრებულო, ქ.რუსთავის  
მთავრობა და მ. ჩ-ე). მოსარჩელებმა მოითხოვეს: 1. მოპასუხი-  
სათვის 05.06.2008 წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის მო-  
სარჩელეთათვის დაბრუნების დაკისრება; 2. ქ.რუსთავში ... მ/  
რ-ის №7-55 ბინასთან დაკავშირებით აუქციონზე შეძენილ ქო-  
ნებაზე უფლებამოსილების შესახებ გამოტანილი განკარგულე-  
ბის არარად ცნობა და აღნიშნულის შესახებ მოპასუხისათვის  
ახალი აქტის გამოცემის დაკისრება; 3. მოპასუხის 21.03.2011 წ.  
№10539 ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა; 4. მოპასუ-  
ხისათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება იმის  
თაობაზე, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ №3-2  
საქმეზე გამოტანილი 19.03.2007 წ. გადაწყვეტილების აღსრუ-  
ლების მიზნით 05.04.2007 წ. გაცემული სააღსრულებო ფურცე-  
ლი აღსრულებელი სახით იმყოფება ქვემო ქართლის სააღსრუ-  
ლებო ბიუროს წარმოებაში; 5. მოპასუხისათვის მოსარჩელის  
10.02.2011 წ. განცხადებაზე სამართალწარმოების განხორციე-  
ლების დავალება; 6. მოპასუხისათვის ქვემო ქართლის სააღსრუ-  
ლებო ბიუროს მიმართ ისეთი ადმინისტრაციული აქტის გამო-

ცემის დავალება, რომელშიც მითითებული იქნება, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 19.03.2007 წ. გადაწყვეტილებაში მითითებული საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურომ გააფრთხილოს ქ.რუსთავის საკრებულო 05.04.2007 წ. სააღსრულებო ფურცლის ნებაყოფლობით აღსრულებასთან დაკავშირებით და განუმარტოს ნებაყოფლობით აღსრულებლობის სამართლებრივი შედეგები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.06.2012 წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელე ტ. ლ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.08.2012 წ. განჩინებით ტ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა ტ. ლ-მა და მოითხოვა ქ. რუსთავის საკრებულოდან და ქ. რუსთავის მერიიდან იძულებით ამოღებულ იქნეს საქმე №3-2 სააღსრულებო წარმოებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, ვინაიდან სახელისუფლებო ცვლილებების გამო ორგანოები, თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებების დაფარვის მიზნით, ანადგურებენ მათთან დაცულ დოკუმენტაციას, რასაც შესაძლოა მოჰყვეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის განადგურებაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.10.2012 წ. განჩინებით ტ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც დადგენილ ვადაში გასაჩივრდა ტ. ლ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22.11.2012წ. განჩინებით ტ. ლ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ლ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.10.2012 წ. განჩინებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. აღსანიშნავია, რომ მოცემული ნორმით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს მხარის სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების შესახებ. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

განსახილველ შემთხვევაში ტ. ლ-ი ითხოვს ქ.რუსთავის საკრებულოდან და ქ. რუსთავის მერიიდან №3-2 სააღსრულებო წარმოებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ამოღებას იმ საფუძვლით, რომ სახელისუფლებო ცვლილებების გამო ორგანოები, თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებების დაფარვის მიზნით, ანადგურებენ მათთან დაცულ დოკუმენტაციას, რასაც შესაძლოა მოჰყვეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის განადგურებაც.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. ამასთან, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (სსკ 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს მის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას. მხოლოდ აბსტრაქტული ვარაუდი იმისა, რომ შესაძლოა მოხდეს ქ. რუსთა-



ვის მერიიდან და საკრებულოდან გამოთხოვილი ინფორმაციის განადგურება, ვერ გახდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. ტ. ლ-ის მიერ მხოლოდ ნორმის ზოგად დანაწესზე მითითება, რომ შემდგომში შეუძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, არ ქმნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. განმცხადებელი ვალდებულია, დაასაბუთოს ის მოსალოდნელი რეალური საშიშროება, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებში გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნული დასაბუთება ტ. ლ-ს არც სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში და არც საჩივარში არ მოუყვანია. ამასთან, საჩივრის ავტორმა ვერ დაასაბუთა, თუ რაში მდგომარეობს სააპელაციო სასამართლოს 29.10.2012 წ. განჩინების სამართლებრივი უსწორობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ტ. ლ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.10.2012 წ. განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 191-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით, და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ტ. ლ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.10.2012 წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ყადაღის დადება რეგორც სარჩელის  
უზრუნველყოფის საშუალება**

**განჩინება**

№ბს-468-463(კ-12)

7 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ლ-მა 04.03.11წ. სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ სამმართველოს 28.01.11 წ. №3/6 წერილის, მცხეთა-მთიანეთის არქმშენინ-სპექციის 14.06.10 წ. №2/346 მიმართვის ბათილად ცნობის და საჯარო რეესტრისთვის მოსარჩელის სახელზე დაზუსტებული მონაცემების რეგისტრაციის მოთხოვნით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 30.05.11 წ. განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ნ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე და ადმინისტრაციულ საქმეზე ნაწილობრივ შეწყდა წარმოება, ხოლო მოპასუხეთა წრიდან ამორიცხულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 30.05.11 წ. განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაერთვნენ სს „ბანკი ...“ და ი. ქ-ი.

ნ. ლ-მა 29.03.11 წ. სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ი. ქ-ის მიმართ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 24.02.11წ. №05 განწყვეტილების, 05.02.11წ. №05 ოქმის, 26.06.09წ. გაცემული

№759 საკუთრების მონაშობის ბათილად ცნობის და საჯარო რეესტრში ი. ქ-ს სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 03.06.11 წ. განჩინებით დაზუსტდა მოპასუხეთა წრე და მოპასუხეებად მითითებულ იქნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისია და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური. ამავე განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ი. ქ-ი და სს „ბანკი ...“.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 27.06.11 წ. განჩინებით ზემოაღნიშნულ ორ სარჩელზე მიმდინარე სამართალწარმოებები გაერთიანდნენ ერთ წარმოებად.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.08.11წ. გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.02.12წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2013წ. განჩინებით ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.02.2012წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

01.05.2013წ. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. ლ-ის წარმომადგენელმა თ. ჯ-მ, რომელმაც მოცემულ დავაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების სახით მესამე პირის – ი. ქ-ს საკუთრებაში არსებული მცხეთაში, საგურამოში მდებარე 800 კვ.მ. უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: ...) ყადაღის დადება მოითხოვა. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ი. ქ-მა შესაძლოა გაასხვისოს ამჟამად მის საკუთრებაში რიცხული სადავო უძრავი ქონება, რის შემდეგაც ნ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შუამ-

დგომლობის საფუძვლების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და, შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა ქონებაზე ყადაღის დადება.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. ამასთან, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (სსკ 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციელების გარანტს, ხოლო მეორე მხრივ, მონინააღმდეგე მხარის უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის

ლონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადანყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი უთითებს, რომ ი. ქ-ს უძრავ ქონებაზე ყადაღის დაუდებლობის შემთხვევაში, შესაძლოა ი. ქ-მა მოახდინოს აღნიშნული უძრავი ქონების რეალიზაცია, რაც შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას. საკასაციო სასამართლო განმცხადებლის ამ მოსაზრებას იზიარებს და აღნიშნავს, რომ მიმდინარე დავაში ნ. ლ-ს სადავოდ აქვს გამხდარი ნ. ქ-ს საკუთრების უფლება მცხეთაში, საგურამოში მდებარე 800 კვ.მ. უძრავ ქონებაზე და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიწა ზედდება მის საკუთრებაში არსებულ მიწასთან, შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში ნ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ ი. ქ-ს გასხვისებული ექნება სადავო მიწის ნაკვეთი, მოსარჩელე ველარ შეძლებს მისი სასამართლო წესით აღიარებული უფლების რეალიზაციას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული სახის გამოყენებისთვის ზოგადი წინაპირობების გარდა, აუცილებელია, ასევე დადგინდეს, რომ უძრავი ქონება, რომელზეც მოსარჩელე ითხოვს ყადაღის დადებას, მოწინააღმდეგე მხარის საკუთრებაშია (სსკ 191-ე მუხლის მე-2 ნაწილი). განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა იშუამდგომლა რა სარჩელის უზრუნველყოფის სახით ი. ქ-ს ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე, წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საიდანაც დასტურდება, რომ მცხეთაში, საგურამოში მდებარე 800 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრე არის ი. ქ-ი. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოყენების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს გააჩნია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის გადანყვეტილების გამოტანის შემდგომაც, მის აღსრულებამდე. ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის დანიშნულება გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაშია, ამიტომ ვიდრე გადანყვეტილება აღუსრულებელია, მოსარჩელეს

აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის რომელიმე სახის გამოყენება (სსკ-ის 271-ე მუხლი).

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე, 198-ე, 399-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ლ-ის წარმომადგენელ თ. ჯ-ს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. ყადაღა დაედოს ი. ქ-ს საკუთრებაში არსებულ მცხეთაში, საგურამოში მდებარე 800 კვ.მ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი ...);
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**აღსრულების შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება**

**განჩინება**

№ბს-165-158(უს-13)

30 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების დასკვნის გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. დ-მა 27.09.2012წ. სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო

სვანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ უძრავი ქონების შეფასების დასკვნის გაუქმების მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 02.10.12წ. განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ნ. ხ-ი, ხოლო 15.10.12წ. განჩინებით – მშენებარე ... საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე – გ. ა-ე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.10.12წ. განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ ის პირები, რომლებსაც განხორციელებული აქვთ შენატანები ... საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის: ნ. ი-ი, ვ. ლ-ე, ნ. ტ-ე, თ. თ-ი, ა. ძ-ე, ა. ჩ-ე, დ. ს-ე, თ. გ-ი, დ. ე-ე, რ. ხ-ი, გ. გ-ე, კ. ჭ-ე, ნ. ს-ე. ი. ა-ძე, დ. ა-ე, პ. ქ-ე, ნ. ლ-ა, ა. თ-ე, ი. მ-ე, ა. ჯ-ე, გ. ბ-ე, გ. ე-ა, გ. ზ-ე, გ. მ-ე და თ. შ-ე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 29.11.12წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ზ. დ-მა.

ზ. დ-მა 03.01.13წ. განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა საქმის აღსრულების შეჩერება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 15.01.13წ. განჩინებით ზ. დ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა ზ. დ-მა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 08.02.13წ. განჩინებით ზ. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. დ-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 15.01.2013წ. განჩინებაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-



დექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო-სათვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. განსახილველ შემთხვევაში ზ. დ-ი ითხოვს აღსრულების შეჩერებას საქმის განხილვის დასრულებამდე იმ საფუძვლით, რომ არ მოხდეს სადავო ქონების აუქციონზე გაყიდვა აღსრულების ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულ ფასად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს მიმართული ჰქონდა სააღსრულებო ბიუროსათვის აღსრულების შეჩერების მოთხოვნის შესახებ განცხადებით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აღსრულება შეაჩეროს კრედიტორის მოთხოვნით, ერთჯერადად არა უმეტეს 3 თვის ვადით, ამ ვადის გასვლის შემდგომ სააღსრულებო ფურცელი უბრუნდება კრედიტორს, თუ იგი არ მოითხოვს აღსრულების გაგრძელებას. ვადის გასვლის გამო მოსარჩელემ მომართა სასამართლოს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აღსრულების შეჩერება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლი გულისხმობს აღსრულების შეჩერებას მხოლოდ სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში, არ ადასტურებს უზრუნველყოფის ზომის მიღებაზე უარის თქმას, ვინაიდან ხსენებული მუხლი არ შეიცავს აღსრულების შეჩერების ამომწურავ ჩამონათვალს, 36.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულება შეიძლება შეჩერდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. კანონმდებლობას არ ემყარება, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით შეაჩეროს აღსრულება. სასამართლოს ამ მოსაზრებას არ ადასტურებს სსკ-ის 198.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი. ის გარემოება, რომ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში სარჩე-

ლის უზრუნველყოფის სახით მითითებულია მხოლოდ აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომელიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის საფუძველზე ან რომელზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ ადასტურებს მხოლოდ ამ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აღსრულების შეჩერების გამოყენებას. სსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. ამდენად, ის გარემოება, რომ განსახილველი შემთხვევა არ არის პირდაპირ მითითებული სსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალში, არ ადასტურებს უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების შეუძლებლობას. საჩივრის ავტორი მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შეაჩეროს აღსრულება. აღნიშნულ სხვა შემთხვევად განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს სააღსრულებო ბიუროს ქონების შეფასების დასკვნა. საჩივრის ავტორი მიუთითებს კონკრეტულ საშიშროებაზე, საქმის წარმოების პროცესში აუქციონზე დაბალ ფასად რეალიზაციის შესაძლებლობაზე, რაც შეუძლებელს გახდის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას. მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა დადასტურებულია, რადგან ზ. დ-ი ედავება აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვს შეფასების სამსახურის დასკვნის გაუქმებას, რომლითაც ზ. დ-ის მოვალის ნ. ხ-ის კუთვნილი წილი ... საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეთა ამხანაგობაში შეფასებულია 900 აშშ დოლარად. ამხანაგობიდან მოვალის კუთვნილი ქონების განსაზღვრის მიზნით მოსარჩელემ მიმართა აუდიტს, რომლის შეფასებაც აღმასრულებლის მიერ გაზიარებული არ იქნა და შეფასება განახორციელა სააღსრულებო ბიუროს შეფასების სამსახურმა.

სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩე-

ლის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. დ-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეჩერდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 12.03.2012წ. გაცემული №2/628 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში მიმდინარე სააღსრულებო წარმოება (საქმე №..., კრედიტორი: ზ. დ-ი, მოვალე: ნ. ხ-ი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. დ-ის საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 15.01.2013წ. განჩინება;
3. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 12.03.2012წ. გაცემული №2/628 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში მიმდინარე სააღსრულებო წარმოება (საქმე №..., კრედიტორი: ზ. დ-ი, მოვალე: ნ. ხ-ი);
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ყადაღა სავალდებულო მონევის მისამე პირის  
ქონეზაზე**

**განჩინეზა**

№ბს-428-423(კ-12)

24 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლადე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ტ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ.თბი-  
ლისის სააღსრულებო ბიუროს და მესამე პირის ნ. ბ-ის მიმართ  
მოპასუხის 29.10.2010წ. განკარგულებისა და 28.10.2010წ. საჯა-  
რო აუქციონის ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 31.03.2011წ. გადანყვეტილებით სარჩელი არ  
დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ტ-ის  
მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22.02.2012წ. განჩინე-  
ბით მ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლე-  
ლად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 31.03.2011წ. გა-  
დანყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა მ. ტ-ის მი-  
ერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.01.2013წ. განჩი-  
ნებით მ. ტ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შეჩერდა საქ-  
მის წარმოება სამოქალაქო საქმეზე სესხისა და იპოთეკის ხელ-  
შეკრულებისა და სააღსრულებო ფურცლის სიყალბის დადგე-  
ნისა და ბათილად ცნობის თაობაზე საბოლოო გადანყვეტილე-  
ბის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

17.10.13წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადე-  
ბით მომართა მ. ტ-ის წარმომადგენელმა თ. კ-იმ საქმის წარმო-  
ების განახლების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 31.10.2013წ. განჩინებით №ბს-428-423(კ-12)

ადმინისტრაციულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება.

23.12.2013წ. საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მომართა მ. ტ-ის წარმომადგენელმა თ. კ-იმ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. მან აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით სადავო ქონებაზე მოიხსნა ყადაღა, რის გამოც არსებობს ნ. ბ-ის მიერ ქონების გასხვისების ან იპოთეკით დატვირთვის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის წარმომადგენელი – თ. კ-ი სსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ითხოვს, რომ ნ. ბ-ს (პ.ნ. ...) ქონებას დაედოს ყადაღა, მონინალმდეგე მხარეს აეკრძალოს უძრავი ქონების (მდებარე: ქ.თბილისი, ვაზისუბნის მე-... მ/რ-ნი, კორპ. ..., ბ.103. ს.კ: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. კასატორის წარმომადგენლის მოსაზრებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის მომავალში მ. ტ-ის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მოსარჩელეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შუამდგომლობის საფუძვლებზე შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადება. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო ურთიერთობების თავისებურებათა გათვალისწინებით. ამდენად, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას, გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას, ამიტომ ადმინისტრაციულ დავაში „მოპასუხეში“ სსკ-ის 198-ე მუხლის მიზნებისთვის მოიაზრება როგორც უშუალოდ მოპასუხე, ასევე სავალდებულო მონვევის მესამე პირი (სასკ 16.2) ანუ პირი, რომელიც არის განსახილველი სამართალურთიერთობის მონაწილე და რომლის თაობაზეც, მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. საქმეში დაცული მასალებიდან გამომდინარე დგინდება, რომ ნ. ბ-ი სწორედ სავალდებულო მონვევის მესამე პირს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის ერთი მხრივ სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციელების გარანტი, ხოლო მეორე მხრივ მონინალმდევე მხარის (მოპასუხის, სასკ 16.2 მე-სამე პირის) უფლების შეზღუდვის კანონიერი საფუძველი. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხზე მსჯელობისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი უთითებს, რომ ნ. ბ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონების მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაძლოა მან მოახდინოს აღნიშნული უძრავი ქონების რეალიზაცია ან იპოთეკით დატვირთვა, რაც შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მ. ტ-ს. საკასაციო სასა-

მართლო განმცხადებლის ამ მოსაზრებას იზიარებს და აღნიშნავს, რომ მიმდინარე დავაში მ. ტ-ს სადავოდ აქვს გამხდარი თბილისის საალსრულებო ბიუროს 29.10.2010წ. განკარგულება და 28.10.2010წ. საჯარო აუქციონის ოქმი, რომელთა საფუძველზეც ნ. ბ-მა შეიძინა მ. ტ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ვაზისუბნის მე-... მ/რ, კორპ. ...-ში მდებარე 90 კვ.მ ფართის №103 ბინა. ამდენად, მ. ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუკი სადავო ბინა უკვე გასხვისებული იქნება, იგი ვეღარ შეძლებს სასამართლო წესით აღიარებული უფლების რეალიზაციას. სადავო ფართის გასხვისებაზე უფლებამოსილ სუბიექტს კი წარმოადგენს საქმეში სავალდებულო მონაწილის მესამე პირის სტატუსით მონაწილე – ნ. ბ-ი. კასატორის წარმომადგენლის განცხადებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, სსკ 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, თან ერთვის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საიდანაც დასტურდება, რომ ქ.თბილისში, ვაზისუბნის მე-... მ/რ, კორპ. ...-ში მდებარე №103 ბინის (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრე არის ნ. ბ-ი. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ტ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ნ. ბ-სთვის უძრავი ქონების დაყადაღების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე, 198-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ტ-ის წარმომადგენელ თ. კ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. ნ. ბ-ის (პ.ნ. ...) სახელზე რიცხულ ქ.თბილისში, ვაზისუბნის მე-... მ/რ, კორპ. ...-ში მდებარე №103 ბინას (საკადასტრო კოდი: ...) დაედოს ყადაღა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების  
გამოყენების მოთხოვნის კანონიერება**

**განჩინება**

№ბს-349-345(უს-15)

23 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე**

**საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** უზრუნველყოფის ღონის-  
ძიების გამოყენება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 19 თებერვალს ლ. ვ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 24 იანვრის №109 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა, რომლითაც დაკ-მაცოფილდა მოქალაქე მ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 13 თებერვლის №ლგგ-114 ბრძანება მანსარდის ლეგალიზების ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ მ. გ-ი და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ვ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ვ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

2015 წლის 22 აპრილს მ. გ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც ქ. თბილისი, ... ქ. №27-ში მდებარე ლ. ვ-ის

საკუთრებაში რეგისტრირებულ 55.96 კვ.მ. მანსარდაზე (ს/კ ...) ყადაღის დადება მოითხოვა.

განმცხადებლის განმარტებით, სადავო მანსარდა ლ. ვ-ის საკუთრებაშია, რომლის ლეგალიზების კანონიერების საკითხი სწორედ განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს. თუმცა, არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ლ. ვ-ემ შესაძლოა გაასხვისოს ან სხვაგვარად განკარგოს სადავო მანსარდა, რაც ხელს შეუშლის მ. გ-ის ინტერესის დაცვასა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განჩინებით მ. გ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 13.02.2008წ. №ლეგ-114 ბრძანებით დაკმაყოფილდა ლ. ვ-ის განცხადება და ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ... ქ. №27-ში უნებართვოდ დაშენებული მანსარდა და მიშენება. აღნიშნული ბრძანების თანახმად, მიშენების ფართია 42.84 კვ.მ., ხოლო მანსარდის ფართი – 55.96 კვ.მ. ობიექტის სალევალიზაციოდ წარდგენილ დოკუმენტებად ბრძანებაში მითითებულია: საინვენტარიზაციო გეგმა, საჯარო რეესტრის ამონაწერი №... №..., არსებული ობიექტის აზომვითი ნახაზები, ობიექტის ფოტოსურათები.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 13.02.2008წ. №ლეგ-114 ბრძანება მანსარდის ლეგალიზების ნაწილში სადავო გახადა მ. გ-მა. ქ. თბილისის მერიის 24.01.2014წ. №109 განკარგულებით დაკმაყოფილდა მ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 13.02.2008წ. №ლეგ-114 ბრძანება მანსარდის ლეგალიზების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით, ასევე, დადასტურებულად მიიჩნია, რომ ლ. ვ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია თბილისში, ... ქ. №27-ში 68 კვ.მ. ფართი 13.07.99წ. №2-651 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. უფლების რეგისტრაციის თარიღია: 06.02.08წ. ობიექტის საკადასტრო კოდია №... ლ. ვ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია თბილისში, ... ქ. №27-ში 55.96 კვ.მ. მანსარდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 13.02.2008წ. №ლეგ-114 ბრძანების საფუძველზე. უფლების რეგისტრაციის თარიღია 04.06.09წ. ობიექტის საკადასტრო კოდია №... ლ. ვ-ის საკუთრე-

ბად რეგისტრირებულია თბილისში, ... ქ. №27-ში 20.56 კვ.მ. ფართი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 13.02.2008წ. №ლეგ-114 ბრძანების საფუძველზე. უფლების რეგისტრაციის თარიღია 15.05.08წ. ობიექტის საკადასტრო კოდი №.... ლ. ვ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია თბილისში, ... ქ. №27-ში 19.04 კვ.მ. ფართი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 13.02.2008წ. №ლეგ-114 ბრძანების საფუძველზე. უფლების რეგისტრაციის თარიღია 15.05.08წ. ობიექტის საკადასტრო კოდი №....

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით. სწორედ ამიტომაც განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცულ ამა თუ იმ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას, რომელსაც სასამართლო იყენებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას, სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე, მოსარჩელის მიერ მითითებული იმ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს უზრუნველყოფის

ლონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე. საკითხს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და ამ ღონისძიების სახის შესახებ, წყვეტს სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და შინაარსის გათვალისწინებით. უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალებაა და თუკი სარჩელის წარმოდგენის შემდეგ, შესაძლო გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე არ ემუქრება, მისი გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულიად მიიჩნია, რომ მ. გ-ი უზრუნველყოფის სახით ყადაღის დადებას ლ. ვ-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ 55.96 კვ.მ. მანსარდაზე (მდებარე ქ. თბილისი, ... ქ. №27, საკადასტრო კოდით №...) ითხოვს იმ საფუძვლით, რომ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ საქმის განხილვის დასრულებამდე ლ. ვ-ემ შესაძლოა გაასხვისოს ან სხვაგვარად განკარგოს აღნიშნული მანსარდა, რაც ხელს შეუშლის განმცხადებლის ინტერესების დაცვას და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკითხს იმის თაობაზე, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს თავად შუამდგომლობის ავტორი განცხადების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

სააპელაციო სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ ვერ იქნა საკმარისად დასაბუთებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა რატომ გააძნელებს ან რატომ გახდის შეუძლებელს გადაწყვეტილების აღსრულებას და ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ღონისძიების გამოყენების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები. განმცხადება შეიცავს მხოლოდ მითითებას იმის შესახებ, თუ რატომ არის განმცხადებლის მოსაზრებით აუცილებელი ასეთი განჩინების გამოტანა, მაგრამ წარმოდგენილი არ არის იმის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, რომ არსებობს საშიშროება არსებული მდგომარეობის შეცვლის და განმცხადებლის უფლების რეალიზაციისათვის ხე-

ლის შეშლის ან აღსრულების გართულების თაობაზე, რაც უმთავრესი პირობაა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მისაღებად.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება არ შეესაბამება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის კანონით განსაზღვრულ მიზნებს. სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს სასამართლო დავის დასრულებამდე გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის თავიდან აცილების საფუძველით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოდ დაადასტურებს მხარე მისი გამოყენების იურიდიულ ინტერესს, აღნიშნული ღონისძიების გამოყენებლობით შემდგომში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან საერთოდ აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებას. საბოლოოდ, საკითხს იმის შესახებ, გამოყენებული უნდა იქნეს თუ არა უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიება წევეტს სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე. განმცხადებლის მიერ მითითება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობის შემთხვევაში გართულება გადაწყვეტილების აღსრულება, რადგან შესაძლებელია მოხდეს ქონების გასხვისება, საკმარისი არ არის. სასამართლოს უნდა გაუჩნდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა სახეზეა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველებს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის. შესაბამისად, საპროცესო კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დანესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

საქმის მასალების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან შეუძლებლობის თაობაზე შუამდგომ-

ლობა მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ლ. ვ-ემ შე-საძლებელია გაასხვისოს მანსარდა, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, არ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს სარჩელის უზრუნველყოფის ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენებისათვის. სააპელაციო სასამართლომ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის საფრთხე და განმცხადებლის კანონიერი ინტერესების შელახვა მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განჩინებაზე მ. გ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს ერთმანეთს უნდა შეუპირისპიროს მხარეთა ინტერესები და შეაფასოს უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად მიადგება თუ არა რომელიმე მხარეს ზიანი და მისი გამოუყენებლობა ხომ არ გამოიწვევს უარყოფით შედეგს, რომელიც ახალი დავის საგანს წარმოშობს. საჩივრის ავტორი, არაგონივრულად და წარმოუდგენლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნას მის მიერ რისკის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლო ხელოვნურ ბარიერს არ უნდა ქმნიდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს, ვინაიდან, მისმა უმოქმედობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ ინტერესს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის განჩინებით მ. გ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განჩინებაზე გადმოევზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

მ. გ-ის საჩივარში მითითებულ არგუმენტებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ლ. ვ-ის სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, რომლითაც გამოკვლეული და დადგენილი იქნება ყველა სადავო გარემოება, მათ შორის, რამდენად კანონიერად მოხდა მანსარდის ლეგალიზების ნაწილში ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 13.02.2008წ. №ლეგ-114 ბრძანების ბათილად ცნობა. შესაბამისად, სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობას ამონიშნავს არა სარჩელის საფუძვლიანობის თვალსაზრისით ან კონკრეტული მოპასუხის მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთებულობისა და საფუძვლიანობის თვალსაზრისით, არამედ იმ კუთხით, რომ გარკვეული ქმედითი ღონისძიებების გაუტარებლობა შესაძლებელია შემდგომში ნეგატიურად აისახოს მოსარჩელის უფლების რეალიზაციაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადებაში, ასევე საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საკმარის საფუძველს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის – განსახილველ საქმეში მესა-



მე პირად ჩართული მ. გ-ის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისი, ... ქ. №27-ში მდებარე ლ. ვ-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ 55.96 კვ.მ. მანსარდაზე (ს/კ ...) ყადაღის დადება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ გარემოების დასაბუთებაზე, თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას ამ ღონისძიების გაუტარებლობა. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს საჩივრის ავტორის – მ. გ-ის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოსარჩელის – ლ. ვ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე და მიუთითებს, რომ მ. გ-ი ვერ ასაბუთებს განსახილველი დავის ფარგლებში უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოყენებლობა რა ზიანს აყენებს მისი ინტერესის დაცვასა და მით უფრო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის საფრთხე და საჩივრის ავტორის კანონიერი ინტერესების შელახვა მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს თავად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივ ბუნებაზე და მიუთითებს, რომ მესამე პირის – მ. გ-ის მოთხოვნა მოსარჩელის – ლ. ვ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე არ შეესაბამება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის კანონით განსაზღვრულ მიზნებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე, რომლითაც გათვალისწინებულია მოსარჩელის უფლება, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ამავე მუხლით განსაზღვრულია მითითებული საპროცესო უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუხის სანინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ საქმეში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ლ. ვ-ე, ხოლო მ. გ-ი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სავალდებულო მიწვევის მესამე პირია, რომლის სამართლებრივი ინტერესიც თავისი არსით მოპასუხე მხარის ინტერესს შეესაბამება, რადგან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 24 იანვრის №109 განკარგულების კანონიერება წარმოადგენს, რომლითაც მ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 13 თებერვლის №ლეგ-114 ბრძანება სადავო მანსარდის ლ. ვ-ის სახელზე ლეგალიზების ნაწილში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსისა და მიზნების გათვალისწინებით, აღნიშნული საპროცესო ინსტიტუტის გამოყენება მოსარჩელის მიმართ შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. გ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის განჩინებაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის და 2015 წლის 22 აპრილის განჩინებები;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა როგორც უზრუნველყოფის საშუალება**

### **განჩინება**

№ბს-296-292(უს-15)

22 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა:**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 22 მარტს გ. გ-ემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ სარჩელის დაზუსტების შემდგომ მოითხოვა: ქ. ქუთაისის მერიის ტექ.აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიერ მომზადებული 2001 წლის 1 ნოემბრის გეგმა-ნახაზისა და 2002 წლის 13 სექტემბრის №5/26 ცნობა-დახასიათების ბათილად ცნობა; საჯარო რეესტრის 2002 წლის 30 სექტემბრის (№... საკადასტრო კოდი) ამონაწერისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 26 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე გ. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინებით გ. გ-ის

სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით გ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2015 წლის 17 მარტს გ. გ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა. კერძოდ: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალოს მოახდინოს ქ. ქუთაისში, ... ქუჩა მე-... ჩიხის №2-ში მდებარე, ს. ჟ-ის სახელზე (პ/ნ:... ) საკუთრების უფლებებით რეგისტრირებული უძრავი ქონების – შემინული აივანი ფართით – 3,45X1,90 მ-ზე (6,56 კვ.მ.), ს/კ: №... და სათავსო ფართით – 3,60X3,60 მ-ზე (12,96 კვ.მ.), საკადასტრო კოდით №... გასხვისება ან ამავე ქონების ვალდებულებით დატვირთვის შესახებ ს. ჟ-სა და ნებისმიერ მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინებით გ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა ქ. ქუთაისში, ... ქუჩა მე-... ჩიხის №2-ში მდებარე, ს. ჟ-ის სახელზე (პ/ნ:... ) საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების – შემინული აივანი ფართით - 3,45X1,90 მ-ზე (6,56 კვ.მ.), ს/კ: №... და სათავსო ფართით – 3,60X3,60 მ-ზე (12,96 კვ.მ.), საკადასტრო კოდით №... გასხვისების ან ამავე ქონების ვალდებულებით დატვირთვის შესახებ ს. ჟ-სა და ნებისმიერ მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინებაზე 2015 წლის 25 მარტს საჩივარი წარადგინა ს. ჟ-მა, რომელმაც მოითხოვა მითითებული განჩინების გაუქმება, უძრავ ნივთზე ს/კ: №... აკ-

რძალვის მოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გ. გ-ისათვის დავალება, სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსონ 1 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის თანხა 7 000 ლარი.

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა განცხადებას და შესაბამისად არ იქნა შემოწმებული რიგი ფაქტობრივი გარემოებები: კერძოდ, უძრავი ქონება საკადასტრო კოდი ..., რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, ... ქ. მე-... ჩიხი, №2-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად შეადგენს არა განცხადებაში და შემდგომ სასამართლო განჩინებაში მითითებულ 6.65 კვ.მ.- ს არამედ 48.74 კვ.მ. რაც არ წარმოადგენს სადავო ქონებას. ს. ჟ-ის მოსაზრებით, აღნიშნული ქონების რეგისტრაციის აკრძალვით მას ჩამოერთვა ყველა უფლება, მათ შორის, ქონების ვალდებულებით დატვირთვის შესახებ, რაც წარმოადგენს მისი საკუთრების უფლების შელახვას. იმის გამო, რომ ვერ ახორციელებს ქირავნობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, დამქირავებელმა უარი განაცხადა ფართის დაქირავებაზე. ამასთან, სესხის აღების მიზნით უნდოდა უძრავი ქონება დაეტვირთა იპოთეკით, რაც ქონებაზე რეგისტრაციის აკრძალვის გამო ვერ განახორციელა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მარტის განჩინებით ს. ჟ-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინებაზე საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა ესაა გადანყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება, მოპასუხისათვის რაიმე უფლების, ქმედების განხორციელების ან შესრულების დავალდებულების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველია ამ სარჩელზე მომავალში მისაღები გადანყვეტილების აღსრულების გართულება ან ასეთი აღსრულების შეუძლებლობა. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს, ხოლო საკითხს, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან გამომდინარე წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუ-

ლებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დამკვეთულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

აღნიშნულის გამო, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის დასაბუთებული ვარაუდი და უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებით მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე იყო საფუძვლიანი და დაკმაყოფილა იგი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. ჟ-ის საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ს. ჟ-ის საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე

მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადანწყვეტილების გამოტანაზე. იმავე კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

განსახილველ შემთხვევაში, გ. გ-ის მიერ აღძრულ სარჩელზე დავის საგანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რომელთა საფუძველზეც ს. ჟ-ის სახელზე აღირიცხა 6.56 კვ.მ. შემინული აივანი (საკადასტრო კოდი ...) და 12,96 კვ.მ სათავსო (საკადასტრო კოდი ...). სარჩელის უზრუნველყოფის საგანს, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მოთხოვნიდან გამომდინარე წარმოადგენს: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს აკრძალოს მოახდინოს ქ. ქუთაისში, ... ქუჩა მე-... ჩიხის №2-ში მდებარე, ს. ჟ-ის სახელზე (პ/ნ:... ) საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების – შემინული აივანი ფართით – 3,45X1,90 მ-ზე (6,56 კვ.მ.), ს/კ: №... და სათავსო ფართით – 3,60X3,60 მ.-ზე (12,96 კვ.მ.), საკადასტრო კოდით №... გასხვისება ან ამავე ქონების ვალდებულებით დატვირთვის შესახებ ს. ჟ-სა და ნებისმიერ მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადანწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. მოცემულ შემ-



თხვევაში შუამდგომლობის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა და მიიღო იურიდიულად სწორი განჩინება, რომლითაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა ქ. ქუთაისში, ... ქუჩა მე... ჩიხის №2-ში მდებარე, ს. ჟ-ის სახელზე (პ/ნ:... ) საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების – შემინული აივანი ფართით – 3,45X1,90 მ-ზე (6,56 კვ.მ.), ს/კ: №... და სათავსო ფართით – 3,60X3,60 მ.-ზე (12,96 კვ.მ.), საკადასტრო კოდით №... გასხვისების ან ამავე ქონების ვალდებულებით დატვირთვის შესახებ ს. ჟ-სა და ნებისმიერ მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობას, რადგან სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულია მხოლოდ სადავო ფართზე, რომლის განკარგვის უფლება მართლზომიერად შეეზღუდა ს. ჟ-ს. სასამართლოს ვარაუდს იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე ადასტურებს საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მას სურვილი ქონდა სადავო ქონება განეკარგა, დაეტვირთა იპოთეკით და აეღო სესხი. საფუძველს მოკლებულია, ასევე საჩივრის ავტორის მითითება მის საკუთრებაში არსებული 48,74 კვ.მ. განკარგვის უფლების შეზღუდვის შესახებ, რადგან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება ვრცელდება მხოლოდ სადავო – 6.56 კვ.მ. და 12.96 კვ.მ. ფართებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს. ჟ-ის საჩივარი არის დაუსაბუთებელი, საჩივარში არ არის მითითებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძვლიანი მოტივები, შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე და 372-ე მუხლებით, 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 191-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ჟ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მისამე პირის ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება**

### **განჩინება**

№ბს-412-406(უს-15)

16 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**საჩივრის ავტორის მოთხოვნა – უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ნ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა 1998 წლის 14 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირებად ჩაებნენ რ. კ-ა და ჯ. ტ-ი.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა ი. კ-ის სა-

ხელზე გაცემული 1998 წლის 14 მაისის №26-181 პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე დააზუსტა მოპასუხეთა წრე და მოპასუხეებად მიუთითა: ი. კ-ი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ნ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

2015 წლის 4 მაისს თ. ნ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რ. კ-ას სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მდებარე, თბილისი, ..., კორპ. №..., ბინა №43, (საკადასტრო კოდი ...) ყადაღის დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინებით თ. ნ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღა დაედოს რ. კ-ას სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავ ქონებას მდებარე თბილისი, ..., კორპ. №..., ბინა №43 (საკადასტრო კოდი ...) არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელსა და ი. კ-ს შორის გაფორმებული 1998 წლის 14 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

1996 წლის 30 სექტემბერს, ისნის რაიონის გამგეობამ ი. კ-ის სახელზე გასცა ორდერი, რომლის შესაბამისადაც, პოლკოვნიკ ი. კ-ს და მის ოჯახს, რომელიც შედგებოდა 3 სულისაგან, გადაეცათ საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №43.

თბილისის გარნიზონის საბინაო-საექსპლუატაციო კომისიის 1996 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე, განხილულ იქნა ი. კ-ისა და მისი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საკითხი. კომისიის დადგენილებით ი. კ-სა და მის ოჯახზე (შემადგენლობა 4 წევრი) განაწილდა 4-ოთახიანი ბინა, ფართით 58.4 კვ.მ. მდებარე: ... მხარის დაბა, ... 24-ე კვარტალი.

საქმის მასალებით, ასევე, დადგენილია, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რე-

ესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მონაცემებით ქ. თბილისი ..., კორპ. №..., ბინა №43 აღრიცხულია რ. კ-ას სახელზე, 2000 წლის 7 აპრილის ... ხელშეკრულების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცულ ამა თუ იმ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას, რომელსაც სასამართლო იყენებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას, სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე, მოსარჩელის მიერ მითითებული იმ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე. საკითხს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და ამ ღონისძიების სახის შესახებ წყვეტს სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და შინაარსის გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალებაა და თუკი სარჩელის წარმოდგენის შემდეგ, შესაძლო გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე არ ემუქრება, მისი გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების შესაბამისად, დადასტურებულად მიიჩნია, რომ თ. ნ-ეს განსახილველ დავაში მოპასუხედ არ ჰყავს მითითებული რ. კ-ა, შესაბამისად, მისი სასარჩელო მოთხოვნა მიმართული არ არის ქონების მესაკუთრის მიმართ, ამიტომ ცალსახაა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – მესამე პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ვერ იქნება გამოყენებული. შესაბამისად, სარჩელის ამგვარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განსახილველ შემთხვევაში დაუშვებელია. ამასთან, დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს არ გასჩენია განცხადებაში მითითებული გარემოებები არ ქმნის საკმარის სა-

ფუძველს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის, რის გამოც განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – ქონებაზე ყადაღის დადების გამოყენებაზე. მითითებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა თ. ნ-ემ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინების სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გაუქმება და მისი განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განჩინებით თ. ნ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანი არის განსახილველ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მონაცემებით, ქ. თბილისი, ..., კორპ. №..., ბინა №43 აღრიცხულია რ. კ-ას სახელზე, 2000 წლის 7 აპრილის ... ხელშეკრულების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2014 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირის სახით განსახილველ დავაში ჩაერთო რ. კ-ა, რომელიც ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით, თუმცა დაეკისრება მხოლოდ მოსარჩელის ყველა მოვალეობა. ამდენად, ცალსახაა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – მესამე პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ვერ იქნება გამოყენებული. შესაბამისად, სარჩელის ამგვარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში დაუშვებელია. ამასთან, დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვილი უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სააპელაციო პალატას არ გასჩენია, განცხადებასა და საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის საკმარის საფუძველს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ნ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს, შესაბამისად, ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1996 წლის 30 სექტემბერს ისნის რაიონის გამგეობამ ი. კ-ის სახელზე გასცა ორდერი, რომლის შესაბამისად, პოლკოვნიკ ი. კ-ს და მის ოჯახს, რომელიც შედგებოდა 3 სულისაგან გადაეცათ საცხოვრებელი ფარ-

თი, მდებარე, ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №43.

თბილისის გარნიზონის საბინაო-საექსპლუატაციო კომისიის 1996 წლის სხდომაზე, განხილულ იქნა ი. კ-ისა და მისი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საკითხი. კომისიის დადგენილებით ი. კ-სა და მის ოჯახზე (შემადგენლობა 4 წევრი) განაწილდა 4-ოთახიანი ბინა, ფართით 58,4 კვ.მ. მდებარე: ... მხარის დაბა, ... 24-ე კვარტალი.

1998 წლის 14 მაისს ი. კ-სა და თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელს შორის გააფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ი. კ-ს გადაეცა სამოთახიანი ბინა, საცხოვრებელი ფართით 45 კვ.მ. საერთო ფართით 70 კვ.მ. მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №43.

1999 წლის 13 ივლისს ი. კ-ის წარმომადგენელსა და ჯ. ტ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ქ. თბილისში, ..., კორპ. №..., ბინა №43-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი 3000 ლარად გასხვისდა ჯ. ტ-ის სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელმა აღნიშნული უძრავი ქონება 2000 წლის 7 აპრილს გაასხვისა რ. კ-ას სახელზე.

ქ. თბილისის მერიის მიერ 2005 წლის 21 მარტს გაიცა თ. ნ-ის სახელზე სამსახურებრივი ორდერი, რომლის თანახმად თ. ნ-ეს და მის ოჯახს, რომელიც შედგებოდა 3 წევრიგან გადაეცა საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპ. №..., ბინა №43, საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2005 წლის 16 მარტის №3-11/846 წერილის საფუძველზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მონაცემებით ქ. თბილისი, ..., კორპ. №..., ბინა №43 აღრიცხულია რ. კ-ას სახელზე, 2000 წლის 7 აპრილის რ№2-90 ხელშეკრულების საფუძველზე.

მოსარჩელე – თ. ნ-ე სარჩელით ითხოვს თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელსა და ი. კ-ს შორის 1998 წლის 14 მაისს გაფორმებული პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის – თ. ნ-ის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო რეესტრში საქმეში მესამე



პირად ჩართული რ. კ-ას საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მდებარე, ქ. თბილისი, ..., კორპ. №..., ბინა №43 (ს/კ ...) ყადაღის დადება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე, რომლითაც გათვალისწინებულია მოსარჩელის უფლება მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ამავე მუხლით განსაზღვრულია მითითებული საპროცესო უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. აღსანიშნავია, რომ მოცემული ნორმით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ გარემოების დასაბუთებაზე, თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას ამ ღონისძიების გაუტარებლობა. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს საჩივრის ავტორის – თ. ნ-ის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მესამე პირის – რ. კ-ას საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე და მიუთითებს, რომ თ. ნ-ე ვერ ასაბუთებს განსახილველი დავის ფარგლებში უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოუყენებლობა რა ზიანს აყენებს მისი ინტერესის დაცვასა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანია – თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელსა და ი. კ-ს შორის 1998 წლის 14 მაისს გაფორმებული პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 1999 წლის 13 ივლისს ი. კ-ის წარმომადგენელსა და ჯ. ტ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ქ. თბილისში, ..., კორპ. №..., ბინა №43-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი 3000 ლარად გასხვისდა ჯ. ტ-ის სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელმა აღნიშნული უძრავი ქონება 2000 წლის 7 აპრილს გა-

ასხვისა რ. კ-ას სახელზე და დღეის მდგომარეობით, ქ. თბილისში, ..., კორპ. №..., ბინა №43 ბინა, რომელზეც ყადაღის დადება-საც ითხოვს მოსარჩელე საჯარო რეესტრში აღრიცხულია რ. კ-ას საკუთრებად. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, კერძოდ, პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობითაც, სარჩელის მიზანი მიუღწეველი დარჩება, ვინაიდან, ძალაშია ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ნ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განჩინებაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ნ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისისა და 2015 წლის 5 მაისის განჩინებები;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების ფუნქცია

## გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელსახელმწიფო

№ბს-608-601(2კ-15)

11 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 11 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „ბ...“ დირექტორმა ჯ. ს-მა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის, შპს „...“ +“-ის და შპს „ქ...“ მიმართ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 7 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანის გზით სადავო ქონების მესაკუთრედ შპს „...“ +“-ის აღრიცხვის მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით, 2012 წლის 5 დეკემბერს შპს „ბ...“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „...“ +“-ის მიმართ და მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მოპასუხეზე თანხის დაკისრება. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მან მოითხოვა ქ. ქობულეთში, ... გამზირი №... „ა“-ში მდებარე 1853,79 კვ.მ შენობა-ნაგებობების და 3468 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №...) ყადაღის დადება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებას, რომელიც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 17 იანვარს მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „ბ...“ სასარჩელო მოთხოვნა. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ 2014 წლის 13 მაისს გაიცა სააღსრუ-

ლებო ფურცელი, თუმცა აღსრულება ვერ განხორციელდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ყადაღადადებული ქონება საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 7 მაისის №... გადაწყვეტილებით რეგისტრირებული იყო შპს „ქ ...“.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ბ...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ბ...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ბ...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 7 მაისის №... გადაწყვეტილება; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღრიცხოს შპს „... +“-ის სახელზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 იანვრის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „... +“-ს შპს „ბ ...“ სასარგებლოდ დაეკისრა 14 520 აშშ დოლარის და სარჩელის შეტანის დღიდან, ანუ 2013 წლის 4 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს – 12000 აშშ დოლარის 0,1 %-ის გადახდა. გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყოფილი იყო მოპასუხის საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული ყადაღით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მართლმსაჯულების რეალურ განხორციელებას ემსახურება და სასამართლოს მიერ მიღებული რეალური გადაწყვეტილებით დადგენილი სიკეთით კრედიტორის სარგებლობის ხელშეწყობაა, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის მისი ინტერესი მოვალის არაკეთილსინდისიერების გამო არ შეილახოს, ხოლო მართლმსაჯულებას ფორმალური ხასიათი არ მიეცეს. სარჩელის აღ-

ძვრის პირობებში მოსარჩელე სარგებლობს ეფექტური დაცვის უფლებით და პრევენციული დაცვის უფლებით. ეფექტური დაცვა თავად სარჩელით მოთხოვნილი უფლების მოპოვებას გულისხმობს, ხოლო პრევენციული დაცვისას მოსარჩელე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ სანამ უფლება აღუდგება, უნდა არსებობდეს პრევენცია, რომ ეს უფლება არ გაუქმდებო. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც შპს „...+“-ს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა პირზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქონების გარდა არ გააჩნდა სხვა ქონება, ამ ქმედებით ადმინისტრაციულმა ორგანომ, ფაქტობრივად, პრევენციული დაცვის გარეშე დატოვა შპს „ბ...“, რითაც არსებითი საფრთხე შეუქმნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის უფლების ანუ შპს „ბ...“ საკუთრების უფლების რეალიზაციას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არსებობს სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიღებული და კანონიერ ძალაში შესული ორი გადაწყვეტილება, რომელთა შესრულება საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ბ...“ სასარგებლოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის შესრულების უზრუნველყოფა ასევე გარანტირებული იყო ისევე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით გამოყენებული ყადაღით და ასევე – შპს „ქ ...“ სასარგებლოდ 2014 წლის 4 მარტს მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც გადაწყდა ამ უკანასკნელის მიერ შპს „...+“-ის საწესდებო კაპიტალში შეტანილი №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონების შპს „ქ ...“ დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება, უტყუარობისა და სანდოობის პრეზუმფციის მიუხედავად, ვერ აღსრულდება პირის მიმართ, რომელიც დავაში არ მონაწილეობს. ეს კი ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას სავალდებულო, ანუ აღსასრულებელი ძალა გააჩნია უშუალოდ მოდავე მხარეთათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის დანაწესი, რომლის შესაბამისად სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტები სხვა მონაცემებთან ერთად შეიცავს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის დასახელებებს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და, შესაბამისად, გა-

დანყვეტილების დასკვნითი, სარეზოლუციო ნაწილი, რომელშიც საბოლოო სახით არის წარმოდგენილი სასამართლო განხილვის შედეგები, შესაბამისად, იგი ლოგიკურად გამომდინარეობს გადანყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შეფასებიდან, შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ მხოლოდ მოდავე მხარეთათვის მიიჩნევა. ამდენად, ცალსახაა, რომ იმ პირებს, რომლებიც სამართალწარმოებაში არ მონაწილეობდნენ, გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტების შეცვლების უფლება შენარჩუნებული აქვთ და ეს ლოგიკურიცაა, რადგან სამოქალაქო სამართალწარმოება, პრაქტიკულად, სრულად შეჯობრებითობის პრინციპზეა აგებული. ეს კი ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადანყვეტილება, თითქმის მთლიანად, მოდავე მხარეთა მიერ სასამართლოსათვის მიწოდებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე ეყრდნობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლო/საარბიტრაჟო გადანყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონეა მხოლოდ ამავე სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეების მიმართ და მისი აღსრულებით არ შეიძლება შეიზღუდოს სხვა პირის კანონით დაცული უფლება. მოცემულ შემთხვევაში კი, ადმინისტრაციული ორგანო დასახელებული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით შპს „ქ...“ სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებისას, რომელშიც აპელანტი მხარედ დაფიქსირებული არც ყოფილა, ისე, რომ არც კი შეატყობინა ამ უკანასკნელს სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ, დაარღვია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის უფლების მქონე პირთა უფლებების სამართლიანი ბალანსი.

აღნიშნული გადანყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურმა და შპს „ქ...“ საკასაციო წესით გაასაჩივრეს მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადანყვეტილების მიღების მოთხოვნით.

შპს „ქ...“ საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ავალდებულებდა საჯარო რეესტრს დაერეგისტრირებინა საკუთრების

უფლების გადასვლა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლო ვერ მიუთითებს საჯარო რეესტრის სხვა რომელი ნორმატიული აქტით უნდა ეხელმძღვანელოს. შპს „ბ...“ ყადაღა გაუქმდა სასამართლო განჩინებით, რომელიც მას არ გაუსაჩივრებია. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საკანონმდებლო ხარვეზზე, თუმცა ასეთი ხარვეზი არ არსებობს. საჯარო რეესტრის სადავო აქტი მიღებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარი შემდეგ საფუძველებს ემყარება: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. სასამართლომ არ გაითვალისწინა „საჯარო რეესტრის“ შესახებ კანონის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და შპს „ქ...“ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე: ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 იანვრის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „... +“-ს შპს „ბ ...“ სასარგებლოდ დაეკისრა 14 520 აშშ დოლარის და სარჩელის შეტანის დღიდან, ანუ 2013 წლის 4 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს – 12000 აშშ დოლარის 0,1 %-ის გადახდა. გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყოფილი იყო მოპასუხის საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული ყადაღით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 7 მაისის №... გადაწყვეტილებით ეს უძრავი ქონება დარეგისტრირდა შპს „ქ ...“ სახელზე, ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ქ...“ მი-



ერ შპს „...+“-ის სანესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით ..., შპს „ქ...“ დაუბრუნდა.

განსახილველი დავის ფარგლებში უნდა გადნყდეს, უფლებამოსილი იყო თუ არა საჯარო რეესტრი, სასამართლო გადწყვეტილების საფუძველზე დაერეგისტრირებინა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა, ისეთ პირობებში, როდესაც ამ ქონებაზე სხვა დავის ფარგლებში გამოყენებული იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა.

თავდაპირველად სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვის გამოცხადებას.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული უფლებები და ვალდებულებებია: ა) საკუთრება; ბ) აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა; გ) უზუფრუქტი; დ) სერვიტუტი; ე) იპოთეკა; ვ) ქირავნობა, ქვექირავნობა; ზ) იჯარა, ქვეიჯარა; თ) თხოვება; ი) ლიზინგი; კ) საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები; ლ) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

„საჯარო რეესტრის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნივთზე რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა (მისი შინაარსის გათვალისწინებით) გამოორიცხავს ამ ნივთზე სხვა რაიმე უფლების/ვალდებულების რეგისტრაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარეესტრაციო დოკუმენტს წარმოადგებს სასამართლო/საარბიტრაჟო გადწყვეტილება.

სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს ანესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზოგად განმარტებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულების თაობაზე, ამასთან, დამატებით აღ-

ნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია მოსარჩელის დაცვა მეორე მხარის არაკეთილსინდისიერი მოქმედებებისგან, რათა მოპასუხემ მოჩვენებითი ან რეალური გარიგებების დადების გზით არ აიცილოს სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგის აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფა იცავს მხარის მიერ გამოვლენილი ნების ფარგლებში ქონების განკარგვისაგან, რაც არ გამოორიცხავს მესაკუთრის ცვლილების რეგისტრაციას, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო წესით დადგინდება, რომ ქონების მესაკუთრე სხვა პირია და არა უზრუნველყოფილი სარჩელის მოპასუხე. უფრო მეტიც, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია, საბოლოოდ, გადანაცვლებების აღსრულების ხელშეწყობა, იგი მიმართულია მხოლოდ კონკრეტულ დავაში მოპასუხედ ჩაბმული პირების მიმართ და არ შეიძლება მესამე პირებზე გავრცელდეს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე, აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებიდან, თუ აღსრულების პროცესში შესაძლებელია ზუსტად დადგენა, ვის ეკუთვნის ქონება რეალურად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც არ არის უზრუნველყოფილი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად, ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონმდებელი ამ ნორმის მიხედვით ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებებში მოიაზრებს მხოლოდ სანივთო უფლებებს და იგი არ ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებულ ყადაღას, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და იგი მხოლოდ ყადაღადადებული ქონების მესაკუთრის მხრიდან განკარგვის აკრძალვას ემსახურება, შესაბამისად მას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავებით არ გააჩნია აქცესორული (მიმდევნებითი) ბუნება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფუნქციას მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში გადანაცვლებების აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, ანუ სანივთო უფლების ფუნქცია კი შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთ-

ხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ანაცვლებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააღსრულებო სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება, ვინაიდან მისი საგანია სასამართლო გადაწყვეტილებების და კანონით გათვალისწინებული სხვა აქტების „იძულების ძალით“ განხორციელება, რაც ლეგიტიმირებულია არა კრედიტორის კერძოსამართლებრივი მოთხოვნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა სააღსრულებო სამართლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას მოვალის უფლებებსა და თავისუფლებებში კანონისმიერი ჩარევის გზით აღასრულოს კრედიტორის მოთხოვნა – სახელმწიფოს დახმარებით განხორციელოს სასამართლო ხელისუფლების მიერ (გადაწყვეტილებით) ტიტულირებული, დადასტურებული მოთხოვნა, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს სააღსრულებო კომპეტენციის გამოვლინებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საჯარო რეესტრის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების ზემოაღნიშნული მუხლი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ საჯარო რეესტრს შეუძლია, დაარეგისტრიროს მხოლოდ იმ სასამართლო/არბიტრაჟის გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი, რომელიც მიღებულია იმავე საქმეზე, რაზეც გამოყენებული იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ამგვარ შეზღუდვას ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სასამართლო აქტებს შორის იერარქია არ არსებობს და კანონიერ ძალაში შესულ ნებისმიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ან განჩინება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება პრაქტიკულად სრულად შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული. ეს კი ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, თითქმის მთლიანად, მოდავე მხარეთა მიერ სასამართლოსათვის მიწოდებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზეა დაყრდნობილი, ეს ფაქტები და მტკიცებულებები კი შეიძლება, სრული და ობიექტური არც იყოს, ყოველგვარ აზრს მოკლებულია. გადაწყვეტი-

ლების სავალდებულო ძალის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება საჯარო რეესტრისათვის სავალდებულო ძალის მქონე იყო. საკასაციო სასამართლო, ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ გადაწყვეტილების (შემდგომი მსჯელობიდან გამომდინარე, უნდა იგულისხმებოდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება) სარეზოლუციო ნაწილი შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ მოდავე მხარეებისათვის. ნებისმიერი პირი თუ ორგანიზაცია ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, შეასრულოს ის მოქმედება, რაც საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების აღსრულებისათვის. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით რაიმე ვალდებულება შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ პირს, რომელიც საქმის განხილვაში ჩაბმული იყო. თუ გადაწყვეტილება შეეხება იმ პირის ინტერესებს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმეში, ეს გარემოება, შეიძლება, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი გახდეს, თუმცა საკასაციო სასამართლო, სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ამგვარი მოცემულობა არ გვაქვს სახეზე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ბ...“ მიმართ არავითარი სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა. რეალურად, დადგინდა, რომ შპს „...+“ არ არის იმ ქონების მესაკუთრე, რომელზეც შპს „ბ...“ აღსრულების მიქცევას იმედოვნებდა. ეს გარემოება კი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას ვერ დააბრკოლებს.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე არ გაითვალისწინა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით (საქმე №73 ყ/მ-2014), ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა და სადავო უძრავი ქონება (საკადასტრო კოდით №...) ყადაღისაგან გათავისუფლდა, ანუ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის შენარჩუნების საკითხიც სადავო იყო მოცემული დავის ფარგლებში, აღარ არსებობს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის

მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სასამართლებრივად არასწორად შეაფასა, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადანყვეტილება მიიღო, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე-412-ე მუხლების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 7 მაისის №... გადანყვეტილება კანონიერია.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის ბრძანების მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააგენტო იღებს გადანყვეტილებას რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარ-

ღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მოცემულ გადაწყვეტილებაში ასახული სამართლებრივი შეფასებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, ამდენად, შპს „ბ...“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ბ...“ კასატორებს უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი თითოეულს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და შპს „ქ ...“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ბ...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ბ...“ დაეკისროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;

5. შპს „ბ...“ დაექისროს შპს „ქ ...“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნის დასაშვებობა**

### **განჩინება**

№ბს-269-267(კ-16)

19 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. თ-მა 13.08.2014წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, მოპასუხის 09.07.2014წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.08.2014წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს.

თელავის რაიონული სასამართლოს 02.03.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის 09.07.2014წ. №... გადაწყვეტილება.

17.03.2015წ. მ. თ-მა განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა შ. მ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება.

თელავის რაიონული სასამართლოს 18.03.2015წ. განჩინებით განცხადება არ დაკმაყოფილდა.



თელავის რაიონული სასამართლოს 02.03.2015წ. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.09.2015წ. განჩინებით, ასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაერთო შ. მ-ი. ამავე განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჩართვის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.01.2016წ. განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 18.03.2015წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა მ. თ-ის მიერ.

საკასაციო პალატის 15.04.2016წ. განჩინებით მ. თ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

18.04.2016წ. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. თ-მა, რომელმაც მოითხოვა ქ. თელავში, ... გამზ. შესახვევი 1, №7-ში მდებარე შ. მ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადება. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილი გახდა, რომ შ. მ-ი აპირებს ბინის გაყიდვას, რომელიც განმცხადებლის მითითებით იყო მისი მშობლის – დედის კუთვნილი ბინა. დავის მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შუამდგომლობის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელ-

თა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა ქონებაზე ყადაღის დადება. სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული სახის გამოყენებისთვის ზოგადი წინაპირობების გარდა, აუცილებელია ასევე დადგინდეს, რომ უძრავი ქონება, რომელზეც მოსარჩელე ითხოვს ყადაღის დადებას, მონინააღმდეგე მხარის საკუთრებაშია (სსკ-ის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილი). განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვს ყადაღის დადებას იმ სუბიექტის საკუთრებაში რიცხულ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: ...), რომელიც საქმეში ჩაბმულია მესამე პირად სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება მოსარჩელის სასარგებლოდ უშუალოდ მონინააღმდეგე მხარის უფლების შეზღუდვის ხარჯზე. დაუშვებელია მიმდინარე დავაზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირის უფლებების შეზღუდვა ან რაიმე ვალდებულების დაკისრება. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში გასაჩივრებულია სარეგისტრაციო სამსახურის მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა უძრავი ქონების რეგისტრაციაზე. მ. თ-ი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება შ. მ-ის საკუთრების რეგისტრაციის შესახებ), რომელსაც იგი არამართლობიერად მიიჩნევს და შესაბამის დავაში მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-

ნების შუამდგომლობით. წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემო-  
ებები არ იძლევა შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებ-  
ლობას, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაცი-  
ული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით,  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე, 198-ე, 399-ე  
მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. თ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ლო-  
ნიძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

**მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების  
შესრულების აკრძალვა რეგორც სარჩელის  
უზრუნველყოფის საშუალება**

**განჩინება**

№ბს-253-251(3კ-16)

6 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ა. შ-ემ 2014 წლის 18 მარტს სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნუ-  
ლი სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხის 2012 წლის 24  
იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 მაისის განჩინებით №3/888-14 ადმინისტრაციულ საქმეში (მოსარჩელე ა. შ-ე, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა კ. (კ.) შ-ე და ი. ს-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის ა. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. შ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით აპელანტის – ა. შ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის – ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ი. ს-მა და კ. შ-ემ.

ა. შ-ემ 2016 წლის 5 მაისს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის სადავო უძრავ ქონებაზე (მდებარე: ქ. თბილისი, ... დასახლება მე-... მ/რ, კვარტალი ..., კორპუსი 60, ბინა 4, ს/კ ...) ყოველგვარი ქმედების განხორციელების – გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის შესახებ რეგისტრაციის გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მოითხოვა. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ი. ს-მა შესაძლოა გაასხვისოს ამჟამად მის საკუთრებაში რიცხული სადავო უძრავი ქონება. მოპასუხისა და მესამე პირის ურთიერთშეთანხმებით ერთხელ უკვე იყო სადავო ბინის გასხვისების მცდელობა, რაც დასტურდება შუამდგომლობაზე დართული მტკიცებულებებით. სადავო უძრავი ქონების გასხვისების შემდეგ ა. შ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შუამდგომლობის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ... ამავ კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ხოლო ამავ კოდექსის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. ამასთან, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (სსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციელების გარანტს, ხოლო მეორე მხრივ, მონინა-

აღმდეგე მხარის უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი უთითებს, რომ ი. ს-ის სახელზე აღრიცხულ უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაძლოა ი. ს-მა მოახდინოს აღნიშნული უძრავი ქონების რეალიზაცია, რაც შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. საკასაციო სასამართლო განმცხადებლის ამ მოსაზრებას იზიარებს და აღნიშნავს, რომ მიმდინარე დავაში ა. შ-ეს სადავოდ აქვს გამხდარი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ს-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა ქ. თბილისში, ... დასახლება მე-... მ/რ, კვარტალი ..., კორპუსი 60, ბინა 4-ში მდებარე უძრავი ქონება. ამასთან, საგულისხმოა, რომ ი. ს-მა ერთხელ უკვე სცადა ბინის გასხვისება და შესაბამისად, ა. შ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ ი. ს-ს გასხვისებული ექნება სადავო უძრავი ქონება, მოსარჩელე ვეღარ შეძლებს მისი სასამართლო ნესით აღიარებული უფლების რეალიზაციას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა იშუამდგომლა რა, სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ი. ს-ის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის შესახებ რეგისტრაციის გადაწყვეტილების მიღების აკრძალვის თაობაზე, წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საიდანაც დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-... მიკრო რაიონის, მე-... კვარტალის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი ...) მესაკუთრე არის ი. ს-ი. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. შ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხისათვის სადავო უძრავ ქონებაზე ყოველგვარი ქმედების განხორციელების შესრულების აკრძალვის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე, 198-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. შ-ის წარმომადგენელ შ. ძ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალოს ი. ს-ის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-... მიკრო-რაიონის, მე-... კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სარჩელის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების საჭიროების დადგენა**

### **გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

№ბს-123-122 (კ-უს-16)

24 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. ც-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.11.2015წ. განჩინებაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ც-ემ 23.06.14წ. სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის და შპს „...-ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის 07.03.2006



ნ. №01-16/118 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება, ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 11.02.2014წ. №03/271 ბრძანების, 25.02.2014წ. №03/307 ბრძანების, 04.04.2014წ. №03/744 ბრძანების, 27.05.2014წ. №03/1186 ბრძანების და მშენებლობის სანებართვო №სმ 00125 მონშობის ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.07.2014წ. განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის სახით აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ც-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.2014წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 07.08.2014წ. განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის სახით მშენებლობის გაგრძელების აკრძალვის გამოყენებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 15.04.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ც-ემ.

27.11.2015წ. თ. ც-ემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მშენებარე ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აკრძალვის მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.11.2015წ. განჩინებით განცხადება დარჩა განუხილველი. სააპელაციო სასამართლომ განცხადების უარყოფის საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 194.5 მუხლის დანაწესზე და აღნიშნა, რომ სასამართლოსთვის ერთი და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ თ. ც-ის განცხადება განუხილველად უნდა დარჩენილიყო. მითითებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა თ. ც-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.12.2015წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.02.2016წ. განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და როგორც დაუსაბუთებელი გადმოეგზავნა საკაცო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.12.2015წ. განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა თ. ც-ემ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ც-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 30.11.2015წ. განჩინებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სსკ-ის 191-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. აღსანიშნავია, რომ მოცემული ნორმით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს მხარის სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების შესახებ. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

განსახილველ შემთხვევაში, თ. ც-ე ითხოვდა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მშენებარე ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აკრძალვას. სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. ამასთან, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (სსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორმა ვერ დაასაბუთა მის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობა უკვე დასრულებულია. მისი განცხადების დაკმაყოფი-

ლების შემთხვევაში მოსარჩელის მიზანი ვერ იქნება მიღწეული, იგი ითხოვს ექსპლუატაციაში მიღების აკრძალვას, რაც გავლენას ვერ მოახდენს ნაგებობის არსებობაზე, ვინაიდან შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილება არ ითვალისწინებს მთლიანი ნაგებობის დემონტაჟის შესაძლებლობას შენობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის საჭირო პროცედურების წარუმატებლად გავლის შემთხვევაშიც კი. ამავე დადგენილების 3.82 მუხლის თანახმად, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება არის უფლებამოსილი ორგანოს მიერ სანებართვო პირობების შესაბამისად დასრულებულ მშენებლობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დადგენილების 95.1 მუხლის თანახმად, განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება ნიშნავს დასრულებული მშენებლობის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის საბოლოო დადგენას. მხარე თავდაპირველად ითხოვდა აქტების მოქმედების შეჩერებას, შემდგომ მშენებლობის გაგრძელების აკრძალვას, ხოლო, საბოლოოდ, ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების აკრძალვა მოითხოვა. სასამართლოების მიერ არ დაკმაყოფილდა თ. ც-ის მითითებული განცხადებები, რაც მას არ გაუსაჩივრებია და დღეის მდგომარეობით ძალაშია.

თ. ც-ის მითითებით და საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ დღეის მდგომარეობით შენობა უკვე აშენებულია, რასაც საჩივრის ბედის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თ. ც-ის სარჩელის მიზანი იყო მშენებლობის დაუშვებლობა. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და შენობის ექსპლუატაციაში მიღების აკრძალვის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ვერ დადგება თ. ც-ისთვის სასურველი შედეგი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპლუატაციაში მიღების პირობების შეუსრულებლობისას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მთლიანი ნაგებობის დემონტაჟის შესაძლებლობას. შესაბამისად, სახეზე არ არის მდგომარეობა, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას მოემსახურება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თ. ც-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 30.11.2015წ. განჩინება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 191-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით, და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ც-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.11.2015წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების  
შესრულების აკრძალვა როგორც სარჩელის  
უზრუნველყოფის საშუალება**

**განჩინება**

№ბს-304-302(2უს-16)

7 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ც. მ-მა, მ. მ-ემ, ი. ხ-მა, მ. ბ-მა, ბ. ხ-მა და ქ. მ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-რრის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს. საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით ც. მ-ის, მ. მ-ის, ი. ხ-ის, მ. ბ-ის, ბ. ხ-ის და ქ. მ-ის სარჩელი დაკმა-

ყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 11.02.14 წ. №250 განკარგულება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 26.06.15 წ. №2907 ბრძანება; ც. მ-ის, მ. მ-ის, ი. ხ-ის, მ. ბ-ის, ბ. ხ-ის და ქ. მ-ის სარჩელი ქ. თბილისის მერიის 05.06.2014 წ. №1314 განკარგულების, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 21.02.2014 წ. №1134851 გადაწყვეტილების, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.2014 წ. №1182768 ბრძანების და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.05.2014 წ. №1262114 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; ც. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებისა და თბილისის საკრებულოსათვის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის დავალების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „...“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის და ქ. მ-ის მიერ.

2016 წლის 29 მარტს, მოსარჩელე ბ. ხ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, კერძოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას აეკრძალოს მოცემული დავის დასრულებამდე ექსპლუატაციაში მიიღოს ქ. თბილისში ... ქ. №95-ში შპს „...“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინებით ბ. ხ-ი განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს აეკრძალა მოცემული დავის დასრულებამდე ექსპლუატაციაში მიიღოს ქ. თბილისში ... ქ. №95-ში შპს „...“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

2016 წლის 5 აპრილს, შპს „...“ წარმომადგენლებმა საჩივრით მომართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინების გაუქმება, შემდეგ გარემოებათა გამო: საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ დღეის მდგომარეობით ... ქ. №95-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობა დასრულებულია და დასრულებული იყო მაშინაც, როდესაც საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაც-

ციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღსრულებული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ. სადავო აქტები არის აღმჭურველი აქტები, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემომამებისას უნდა შეფასდეს არა მარტო მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან ფორმალური თვალსაზრისით, არამედ საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს სწორედ აღმჭურველი აქტით დაცული უფლებისა და ამ აქტის გაბათილებით მიყენებული ზიანის შეპირისპირება, შესაბამისად, აქტის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობის ზედმიწევნით შემომამებისა და მათი უკანონოდ მიჩნევის პირობებში არსებითია, შეფასდეს გარემოება, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში ზიანი მიადგება დამკვეთს. მოქმედი კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევა თუნდაც უკანონო აღმჭურველი აქტების ბათილად ცნობას, თუ არსებითად არ ირღვევა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებები.

კომპანიისთვის გაუგებარია, გასაჩივრებული აქტებით ან თუნდაც მშენებარე ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებით ბ. ხ-ის რა კანონიერი უფლება ირღვევა, მაშინ როცა ბ. ხ-ის საკუთრება მდებარეობს ქ. თბილისი, ... ქ. №1-ის მიმდებარედ (ს/კ ...), ხოლო სადავო ობიექტი განთავსებულია ... ქ. №25-ში, ანუ ბ. ხ-ის საკუთრება მოშორებულია საპროექტო ობიექტს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც კი, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, განმარტებულია, რომ ც. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება წარმოადგენს მომიჯნავე შენობა-ნაგებობას და მოსარჩევეების მიმართ ზიანის ფაქტი არ დასტურდება.

აღმჭურველი აქტების საფუძველზე, რომლის მიმართ კომპანიას გააჩნია კანონიერი ნდობა, უკვე განხორციელებულია იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება – ბინები 100%-ით გაყიდულია. მყიდველებთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად, ობიექტის დროულად ექსპლუატაციაში მიუღებლობა გახდება გამყიდველისთვის – შპს „...“ პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი, რაც, შესაძლოა, კომპანიისთვის მილიონობით ზარალში გადაიზარდოს. ეს იმ პირობებში, როცა შუამდგომლობის ავტორის და, ზოგადად, სხვა მოსარჩევეების კანონიერი ინტერესების პირდაპირი და უშუალო შელახვის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფის ღონის-

ძიების გამოყენებას უკავშირებს, ისეთ გარემოებებს, როგორც არის შეუქცევადი ზიანის დადგომა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა. როგორც აღვნიშნეთ, მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის – ბ. ხ-ის იურიდიული ინტერესი დაუსაბუთებელია. მისი საკუთრების საგანი მდებარეობს ... პირველ ნომერში, ხოლო საპროექტო ობიექტი ... №95-ში შესაბამისად, ცხადია, სამშენებლო სამუშაოების და მითუმეტეს დასრულებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება, ვერ მიაყენებს მას პირდაპირ და უშუალო ზიანს.

2016 წლის 8 აპრილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა ბ. ნ-ემ საჩივრით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინების გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/1845-14), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ც. მ-ის, მ. მ-ის, ი. ხ-ის, მ. ბ-ის, ბ. ხ-ის და ქ. მ-ის სარჩელი. ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 11 თებერვლის №250 განკარგულება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ივნისის №2907 ბრძანება, ხოლო სარჩელი ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 5 ივნისის №1314 განკარგულების, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 21 თებერვლის №1134851 გადაწყვეტილების, ამავე სამსახურის 2014 წლის 24 მარტის №1182768 და 2014 წლის 13 მაისის №1262114 ბრძანებების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ასევე, უდავო გარემოებას წარმოადგენს, რომ მითითებული გადაწყვეტილება ბ. ხ-ის მიერ კანონით დადგენილი წესით და ვადებში არ გაუსაჩივრებია. სააპელაციო სასამართლოში დავის საგანს არ წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 5 ივნისის №1314 განკარგულება, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 21 თებერვლის №1134851 გადაწყვეტილება, ამავე სამსახურის 2014 წლის 24 მარტის №1182768 და 2014 წლის 13 მაისის №1262114 ბრძანებები. მითითებული აქტები სააპელაციო სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს შესული იყო კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-



ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აქტების ბათილად ცნობა სასამართლოს უქმნის დასაბუთებული ეჭვის საფუძველს და აღნიშნული არგუმენტით დასაბუთებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას ქ. თბილისში, ... ქ. №95-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების აკრძალვის თაობაზე მოცემული დავის დასრულებამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი. 2012 წლის 1 მარტის განჩინებაში საქმეზე №ას-72-68-2012 უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სარჩელი. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ გარემოებაზე, რაც რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება, ამასთან, აღნიშნულის სწორედ გადაწყვეტის წინაპირობა, სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადანყვეტა“.

განსახილველ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ არ არის დასაბუთებული გამოყენებული უზრუნველყოფის აუცილებლობა, სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა, ასევე, გამოყენებული უზრუნველყოფის მიმართ მესამე პირის კანონიერი ნდობის არსებობა თუ ზიანის საკითხი, რამდენადაც სადავო აქტები წარმოადგენენ აღმჭურველ აქტებს, რომელთა საფუძველზეც მესამე პირებს იურიდიული მნიშვნელობის ქმედებები აქვს განხორციელებული, რაც სასამართლოს მიერ არ იყო სადავო განჩინების მიღებისას შეფასებული და გამოკვლეული.

2009 წლის 24 თებერვლის განჩინებაში საქმეზე №ას-959-1161-08 უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერად ქცევის ფაქტის მტკიცების ტვირთი იმ მხარეზეა, ვინც ეჭვქვეშ

აყენებს სხვის კეთილსინდისიერებას, რადგან ივარაუდება, რომ ყველა ქცევა კეთილსინდისიერია (კეთილსინდისიერების პრე-ზუმფიცია)“. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისაკენ. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ღონისძიებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მხარე წარდგენილი მტკიცებულებებითა და ფაქტებით დაამტკიცებს, რომ მისი მიუღებლობა გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებელს გახდის მას. თავად ნორმის ზოგად დანაწესზე მითითება, რომ შემდგომში შეუძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არ ქმნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. განმცხადებელი ვალდებულია, დაასაბუთოს ის მოსალოდნელი რეალური საშიშროება, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებში გამორიცხავს გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი შუადგომლობით ვერ იქნა უზრუნველყოფილი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება თუ განჩინება უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, საქმის გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევასა და დასაბუთებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის არსებობის პირობებში კანონმდებელმა ცალსახად განსაზღვრა სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა, შესაბამისად ნებისმიერი გადაწყვეტილება საჭიროებს სათანადო დასაბუთებას. ამ მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. ხოლო ამავე კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამარ-

თლოს ცალსახად ეკისრება ვალდებულება, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება თუ განჩინება.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელია.

2016 წლის 11 აპრილს, შპს „...“ წარმომადგენლებმა ნ. ე-ამ და ს. ჭ-ემ დაზუსტებული საჩივრით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მიუთითეს შემდეგ გარემოებებზე:

შპს „...“ სამშენებლო სამუშაოების წარმოება დაიწყო 2014 წლის მაისში. სამშენებლო სამუშაოების დაწყებას საფუძვლად დაედო ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა და არქიტექტურული პროექტი, თავის მხრივ, არქიტექტურული პროექტი დამუშავებული იქნა სპეციალური (ზონალური) ნებართვის საფუძველზე, რომელიც გაიცა ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 11 თებერვლის №250 განკარგულების საფუძველზე. განკარგულება გამოცემული იქნა „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ დასკვნაზე დაყრდნობით. საბჭო დაკომპლექტებულია არქიტექტორებითა და ქალაქთმგეგმარებლებით. გადაწყვეტილების მიღება ხდება ქალაქთმგეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე, რომელსაც დამკვეთი წარადგენს ადმინისტრაციულ ორგანოში – ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში.

შპს „...“ ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინა ყველა ის დოკუმენტი, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით სპეციალური ზონალური შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას, როგორც საპროექტო მინის ნაკვეთის ყოფილ მესაკუთრებთან (ი. და მ. კ-ეები), ასევე თავის კლიენტებთან ნაკისრი აქვს ვალდებულებები. ... ქ. №95-ში მშენებარე მრავალბინიან შენობაში ბინები სრულად არის გაყიდული. მყიდველებთან დადებულია როგორც ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულებები. შვიდ მყიდველს ბინა უკვე რეგისტრირებული აქვს საჯარო რეესტრში, ხოლო დანარჩენი 20 ელოდება ბინის რეგისტრაციას წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. თითოეულ მყიდველთან ნაკისრია ვალდებულება ნივთობრივად და ქონებრივად უნაკლო ნივთის (ბინის) გადაცემის თაობაზე, ხოლო შენობა-ნაგებობა, რომელიც ექსპლუატაციაში მიღებული არ არის, ვერ ჩაითვლება უნაკლოდ.

ობიექტის დადგენილ ვადაში ექსპლუატაციაში მიუღებლობა უდავოდ გამოიწვევს კომპანიისათვის პირდაპირ და უშუალო ზიანს; ამასთან კომპანიას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ უკვე გადახდილი აქვს სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისათვის გათვალისწინებული მოსაკრებელი – 300 000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის განჩინებით შპს „...“ საჩივარი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და განსახილველად საქმის მასალებთან ერთად გამოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „...“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. აღნიშნული განცხადება უნდა შეიცავდეს ასევე დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის

ანაზღაურების დაკისრებით, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილების შინაარსზე.

ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად შეიძლება, გამოყენებულ იქნეს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, თავისი არსით, წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ასევე სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია მოსარჩელის დაცვა მეორე მხარის არაკეთილსინდისიერი მოქმედებებისგან, რათა მოპასუხემ მოჩვენებითი ან რეალური გარიგებების დადების გზით არ აიცილოს სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგის აღსრულება. სარჩელის აღძვრისას მოსარჩელე სარგებლობს ეფექტიანი დაცვის უფლებით და პრევენციული დაცვის უფლებით. ეფექტიანი დაცვა თავად სარჩელით მოთხოვნილი უფლების მოპოვებას გულისხმობს, ხოლო პრევენციული დაცვისას უნდა არსებობდეს სამართლებრივი გარანტია, რომ სანამ მოსარჩელის უფლება აღდგება, იარსებებს პრევენცია, რომ ეს უფლება არ გაუქმდება.

საკასაციო სასამართლო, ასევე განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: 1) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებადი ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით; ამასთან, მხარემ უნდა დაადასტუროს ერთ-ერთი გარემოება: გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა ან ზიანის მიყენება 2) სასამართლოს უნდა შე-

ექმნას ვარაუდი, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ამგვარი ვარაუდი ემყარება შეფასებას, რომ სამომავლოდ, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება იმ სამართლებრივი შედეგის დადგომა, რასაც მოსარჩელე ითხოვს.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოყენებულია ქმედების განხორციელების აკრძალვა – ქ. თბილისის მერიას აკრძალა სადავო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ბ. ხ-ის სარჩელი (დანარჩენ მოსარჩელებთან ერთად) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოთხოვნები ქ. თბილისის მერიის 11.02.14წ. №250 განკარგულების (ქ. თბილისში ... ქ.№95-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის ს/კ ..., განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ1=0.8, კ2=7,7-ით განსაზღვრის შესახებ) და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 26.06.15 წ. №2907 ბრძანების (ქ. თბილისში ... ქ.№95-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2=5.9-ით განსაზღვრის შესახებ) ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემომითითებული წინაპირობების მეორე ელემენტი უპირობოდ დაკმაყოფილებულია – სარჩელი უკვე დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ამასთან, იმ ნაწილში, რომელსაც უშუალო შემხებლობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ფორმასთან, კერძოდ, ბათილდაა ცნობილი ადმინისტრაციული აქტები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების განსაზღვრის ნაწილში, რაც მშენებლობის ნებართვის გაცემის წინაპირობაა. სადავო მშენებლობა კი, ამ ნებართვით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ თუ დავის საბოლოო დასრულებამდე მოხდება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება გაზრდილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტებით, უზრუნველყოფილი ვერ იქნება სარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდის შესახებ სპეციალური ზო-

ნალური შეთანხმების ბათილად ცნობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო, ასევე მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორების ხაზგასმა დავის მიმდინარეობის პროცესში სადავო მშენებლობის თითქმის დასრულებისა და ბინების განკარგვის თაობაზე კიდევ უფრო ამყარებს მოსარჩელის პოზიციას და ასაბუთებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას იმ სახით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა.

რაც შეეხება შპს „...“ მტკიცებას, რომ შეუსაბამოდ მაღალი ზიანი მიადგება, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივრების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ძალაში უნდა დარჩეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „...“ საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტისა და 2016 წლის 12 აპრილის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების  
წინაპირობები**

**ბანჩინება**

№ბს-440-435(2უს-16)

14 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.04.16წ. განჩინებაზე

**აღწერილობითი ნაწილი:**

25.12.14წ. თ. ხ-მა, მ. ხ-მა და მ. ს-მა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიმართ და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს 05.03.10წ. №06-8/1998, 11.03.10წ. №06-8/2110, 13.06.11წ. №06-8/6634, 27.11.14წ. გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ასევე ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსათვის ნაკვეთების ფართის კორექტირების დავალება მოსარჩელების მფლობელობაში არსებული 0,1784 კვ.მ გამოკლებით.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ წლების განმავლობაში ცხოვრობენ სოფელ ..., ფლობენ და სარგებლობენ მიწის ნაკვეთით, რომელიც გადაცემული ჰქონდა მათ მამკვიდრებელს – ნ. ხ-ს. ნ. ხ-მა ნაკვეთის ნაწილი – 0,12 ჰა გაასხვისა და საკუთრებაში დარჩა 0,17 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელიც არ იყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, თუმცა მოსარჩელებს ჰქონდათ 06.10.92წ. მიღება-ჩაბარების აქტი მთლიან ნაკვეთზე – 0,295 ჰა-ზე. ნ. ხ-ის გარდაცვალების შემდგომ მისმა კანონიერმა მემკვიდრებმა, ფაქტობრივად, მიიღეს მემკვიდრეობა, მათზე გაცა საშემკვიდრო მონუმბა. საშემკვიდრო მონუმბის გაცემის შემდგომ, მათ დოკუმენტაცია და ნაკვეთის ნახაზი წარადგინეს სა-

ჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად, სადაც აღმოჩნდა რომ მათი ნაკვეთი მოპასუხეს თავისი გადაწყვეტილებით სამ ნაკვეთად დაურეგისტრირებია, ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად, კერძოდ: 826 კვ.მ. ნაკვეთად, 721 კვ.მ. ნაკვეთად და 989 კვ.მ. ნაკვეთად, რომელთა საზღვრებშიც მოექცა მოსარჩევეების ნაკვეთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.2015წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.11.15წ. გადაწყვეტილებით თ. ხ-ის, მ. ხ-ის და მ. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 05.03.2010 წ. №06-8/1998 მიმართვა ქ.თბილისში, სოფელ ... №92 ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ 826 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 11.03.2010 წ. №06-8/2110 მიმართვა ქ.თბილისში, სოფელ ... №266 ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ 721 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 13.06.2011წ. №06-8/6634 მიმართვა ქ.თბილისში, სოფელ ... მდებარე 989 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

19.04.16წ. მ.ხ-ის, მ.ს-ის, აწ გარდაცვლილი თ.ხ-ის უფლებამონაცვლეების – ყ. ხ-ის, ი. ხ-ის, ნ. ხ-ის წარმომადგენელმა ზ. ბ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ,

რადგან მოპასუხემ უკანონოდ მოახდინა მათ მფლობელობაში და საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია თავის სახელზე და სურს განახორციელოს გასხვისება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.04.2016წ. განჩინებით ზ. ბ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს: მდებარე – ქ. თბილისი, სოფელი ... – ნაკვეთი 34/090, საიდენტიფიკაციო კოდი ..., ფართი – 826,00კვ.მ., ნაკვეთი 34/091, საიდენტიფიკაციო კოდი – ..., ფართი 721 კვ.მ. და მიწის ნაკვეთს მდებარე ქ. თბილისი, სოფელი ..., ... ქ. №60, საიდენტიფიკაციო კოდი ... , ფართი – 989კვ.მ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და სსიპ ქონების მართვის სააგენტომ შეიტანეს საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.04.16 წ. განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2016წ. განჩინებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.04.16 წ. განჩინებებზე დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა, საქმის მასალები საჩივართან ერთად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრების დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას

იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. განსახილველ შემთხვევაში ჟ. ხ-ის, ი. ხ-ის, ნ. ხ-ის წარმომადგენელმა ზ. ბ-ემ მოითხოვა ყადაღის დადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ.თბილისში, სოფელ ... (ნაკვეთი 34/090, ს.კ. ..., ფართი – 826,00 კვ.მ., ნაკვეთი 34/091, ს.კ. ..., ფართი 721 კვ.მ) და ქ. თბილისში სოფელ ..., ... ქ. №60-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს. კ. ..., ფართი – 989 კვ.მ.). მოსარჩელეთა წარმომადგენელი ზ. ბ-ე სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი 19.04.2016წ. განცხადებით ითხოვდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთებზე ყადაღის დადებას იმ დასაბუთებით, რომ მოპასუხემ უკანონოდ მოახდინა მ. ხ-ის, მ. ს-ის, ან. გარდაცვლილი თ. ხ-ის უფლებამონაცვლების – ჟ. ხ-ის, ი. ხ-ის, ნ. ხ-ის მფლობელობასა და საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თვითმმართველი ერთეულის სახელზე რეგისტრაცია და სურს განახორციელოს გასხვისება, რაც შეუძლებელს გახდის მოსარჩელეთა სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადანყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიწევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მართებულად დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა წარმომადგენლის შუამდგომლობა მოთხოვნილ უძრავ ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადებას შესახებ, რადგან ყადაღის არსებობის პირობებში მოპასუხეებს ერთმევათ შესაძლებლობა გაასხვისონ ან უფლებრივად დატვირთონ ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც შესაძლოა მოსარჩელეთა უფლებების არსებობა დადგინდეს. აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში სასამართლოს კანონიერ და-

ლაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება მნიშვნელოვნად გართულებდა ან შეუძლებელი გახდება კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუსაბუთებლად, შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველების გარეშე განხორციელდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების პირობა, ასევე არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

დაუსაბუთებელია საჩივრის ავტორის – სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მითითება იმის შესახებ, რომ სკ-ის 312-ე მუხლის საფუძველზე საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რის გამოც სააგენტოს წარმოეშვა კანონიერი ნდობა საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიმართ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 312-ე მუხლითა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით განმტკიცებული საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფცია, როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელოვანი გამოვლინება, სერიოზულ გარანტიას ქმნის კეთილსინდისიერი შემძენის უფლების დაცვისათვის, პრეზუმფცია ემსახურება კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვას იმ შემთხვევაში, როდესაც ჩანაწერის მიმართ არ არის შეტანილი საჩივარი ან მესამე პირს არ აქვს ინფორმაცია ჩანაწერის ხარვეზის შესახებ. როდესაც დავის საგანი საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაციის კანონიერებაა, მასზე ვერ გავრცელდება კანონმდებლობით განმტკიცებული უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის არსებობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის ან აღსრულების გაძნელების რისკების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფას. რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს, იგი ჯერ არ არის რეალიზებული, თუმცა შესაძლოა მომავალში განხორციელდეს. ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარ-

ჩელეები სათანადო ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითებით მოითხოვენ მათ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთთან გადაფარვის ნაწილში საჯარო რეესტრისადმი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართების ბათილად ცნობას და სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.11.2015წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, სსკ-ის 191-ე მუხლის საფუძველზე ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით,სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.04.16 წ.განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განმეორებით  
მოთხოვნის დაუშვებლობა**

**განჩინება**

№ბს-600-559(უს-16)

27 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**საჩივრის ავტორის მოთხოვნა** – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ვ-ემ 2015 წლის 20 თებერვალს სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „...“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა: აჭარის ა.რ. მთავრობის 2014 წლის 25 დეკემბრის №431 ბრძანების ბათილად ცნობა, გ. ვ-ის კომლის კუთვნილი, 1900 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის ნაწილში; ქ. ბათუმში, დასახლება ... მდებარე მოსარჩელე მხარის კომლის მფლობელობაში არსებული 1900 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სარეგისტრაციო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, რომელთა საფუძველზეც სადავო ქონება აღმოჩნდა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში. მოსარჩელემ, ასევე, მოითხოვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „...“ შორის, 2014 წლის 25 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქ. ბათუმში, დასახლება ... მდებარე მოსარჩელე მხარის კომლის მფლობელობაში არსებული 1900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილში.

2015 წლის 7 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ვ-ის წარმომადგენელმა დ. დ-ემ და



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლებზე მითითებით იშუამდგომლა ქ. ბათუმში, ... დასახლებაში მდებარე შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებული 15 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი ...) ყადაღის დადება, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოპასუხე მხარისათვის სადავო უძრავ ქონებაზე რაიმე სახის სამუშაოების წარმოების, მათ შორის, დროებითი ან კაპიტალური ღობის მონტაჟის აკრძალვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით გ. ვ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 16 თებერვალს გ. ვ-ის წარმომადგენელმა დ. დ-ემ კვლავ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლებზე მითითებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, მოითხოვა ქ. ბათუმში ... დასახლებაში, მდებარე შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებული 15 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილზე – 1517 კვ.მ-ზე (საკადასტრო კოდი ...) ყადაღის დადება, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოპასუხე მხარისათვის სადავო 1517 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სამუშაოების, მათ შორის, დროებითი ან კაპიტალური ღობის მონტაჟის წარმოება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 თებერვლის განჩინებით გ. ვ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დარჩა განუხილველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით გ. ვ-ის სარჩელი, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა.რ. მთავრობის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოსა და შპს „...“ მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ვ-ემ. აპელანტმა, ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ იშუამდგომლა და მოითხოვა: 1. ქ. ბათუმში, ... დასახლებაში მდებარე მოპასუხე შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებული 15 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილზე – 1 517 კვ.მ-ზე (საკადასტრო კოდი ...)

ყადაღის დადება; 2. შპს „...“ 1 517 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ყოველგვარი სამუშაოების წარმოების აკრძალვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინებით გ. ვ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინებაზე 2016 წლის 27 ივნისის საჩივარი წარადგინა გ. ვ-ემ.

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან, მართალია, წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნა არ შეცვლილა, მაგრამ აშკარად სხვადასხვაა მოთხოვნის საფუძვლები. თუ ადრინდელი განცხადება ემყარებოდა იმას, რომ მოპასუხე აპირებდა სადავო მიწის ნაკვეთის შემოღობვას და შემდეგ გასხვისებდას, ახლა ყადაღის მოთხოვნის საფუძველი იყო ის, რომ მოპასუხემ უკვე დაასრულა მიწის ნაკვეთის შემოღობვა, დაამზადა რამდენიმე მრავალსართულიანი სახლის პროექტი და ეს შეათანხმა კიდევ სათანადო ადმინისტრაციულ ორგანოებთან. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოპასუხეს შეუქმნეს ამ უძრავი ქონების გასხვისებისათვის „სასათბურე“ პირობები. ამდენად, თუ მოპასუხე გაასხვისებს სადავო ქონებას, მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება, რადგან იმ მომენტისთვის მოპასუხეს საკუთრებაში აღარ ექნება სადავო მიწის ნაკვეთი და მისგან ვერ მოხერხდება სადავო 1900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყოფა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ივლისის განჩინებით გ. ვ-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინებაზე, როგორც დაუსაბუთებელი, გადმოეგზავნა საქართველოს უზენა-

ესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ვ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი (სარჩელის უზრუნველყოფა), რომლის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე ხელმოკრედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც საჩივრდება საჩივრით.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით დადგენილად მიაჩნია, რომ 2015 წლის 7 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ვ-ემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების საფუძველზე იშუამდგომლა ქ. ბათუმში, ... დასახლებაში მდებარე შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებული 15 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი ...) ყადაღის დადება, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოპასუხე მხარისათვის სადავო უძრავ ქონებაზე რაიმე სახის სამუშაოების წარმოების, მათ შორის, დროებითი ან კაპიტალური ღობის მონტაჟის აკრძალვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით გ. ვ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, არ დაკმაყოფილდა. 2016 წლის 16 თებერვალს გ. ვ-ემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-

ე მუხლებზე მითითებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, მოითხოვა ქ. ბათუმში, ... დასახლებაში, მდებარე შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებული 15 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილზე – 1517 კვ.მ-ზე (საკადასტრო კოდი ...) ყადაღის დადება, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოპასუხე მხარისათვის სადავო 1517 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სამუშაოების, მათ შორის, დროებითი ან კაპიტალური ღობის მონტაჟის წარმოება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 თებერვლის განჩინებით გ. ვ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დარჩა განუხილველი. გ. ვ-ემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით აღნიშნული საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროსაც მიმართა და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით – ქ. ბათუმში, ... დასახლებაში მდებარე მოპასუხე შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებული 15 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილზე – 1 517 კვ.მ-ზე (საკადასტრო კოდი ...) ყადაღის დადება და შპს „...“ 1 517 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ყოველგვარი სამუშაოების წარმოების აკრძალვა მოითხოვა. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გ. ვ-ის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივლისის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მხარეს უფლება არ აქვს სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით კვლავ მიმართოს სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან, განმცხადებელმა ერთი და იმავე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ერთი და იმავე უზრუნველყოფის მოთხოვნით (სადავო მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადება და ყოველგვარი სამუშაოების აკრძალვა) და იმავე შინაარსის დასაბუთებით მიმართა, როგორც საქალაქო სასამართლოს, ისე სააპელაციო სასამართლოს განცხადებებით, რომლებიც არ იქნა დაკმაყოფილებული, მოცემულ შემთხვევაში არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის კვალიფიკაციის საფუძველები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში გ. ვ-ის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესა-

ხებ იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, სასამართლოს განჩინებით არ იქნა დაკმაყოფილებული, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ივლისის განჩინებით გ. ვ-ეს მართებულად ეთქვა უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ვ-ის საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინების გაუქმების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე, 197<sup>1</sup>-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ვ-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისისა და 11 ივლისის განჩინებები;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების საფუძველი

## განჩინება

№ბს-253-251(3პ-16)

6 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

განიხილა ა. შ-ის წარმომადგენლის შ. ძ-ის შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საკითხი.

### აღწერილობითი ნაწილი:

ა. შ-ემ 2014 წლის 18 მარტს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 მაისის განჩინებით №3/888-14 ადმინისტრაციულ საქმეში (მოსარჩელე ა. შ-ე, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შეაბამისად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა კ. (კ.) შ-ე და ი. ს-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის ა. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. შ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით აპელანტის – ა. შ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის – ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მო-

პასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ი. ს-მა და კ. შ-ემ.

ა. შ-ის წარმომადგენელმა შ. ძ-ემ 2016 წლის 5 მაისს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის სადავო უძრავ ქონებაზე (მდებარე: ქ. თბილისი, ... დასახლება მე-3 მ/რ, კვარტალი 4, კორპუსი 60, ბინა 4, ს/კ ...) ყოველგვარი ქმედების განხორციელების – გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის შესახებ რეგისტრაციის გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით ა. შ-ის წარმომადგენელ შ. ძ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა ი. ს-ის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით კ. შ-ის, ი. ს-ისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ა. შ-ის წარმომადგენელმა შ. ძ-ემ 2016 წლის 4 ოქტომბერს შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც ამავე სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა ა. შ-ის წარმომადგენლის შ. ძ-ის შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს,



უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმად: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა ი. ს-ის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით ა. შ-ის წარმომადგენელ შ. ძ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა ი. ს-ის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამავე პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით მოცემული საქმის წარმოება დასრულდა, კერძოდ, კ. შ-ის, ი. ს-ისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება. ამდენად, მითითებულ უძრავ ქონებაზე უზენაესი სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მოქმედების ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული იყო საქმის წარმოების დასრულებამდე, ამ დროისათვის მოცემულ საკითხზე საქმის წარმოება ამავე პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით დასრულდა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ა. შ-ის სასარგებლოდ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ა. შ-ის წარმომადგენლის შ. ძ-ის განცხადების საფუძველზე გამოყენებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიება – „მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა“. მოცემულ შემთხვევაში კვლავ ა. შ-ის წარმომადგენელი შ. ძ-ე შუამდგომლობს მისი მოთხოვნის საფუძველზე გამოყენებული

უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ. ამდენად, ირკვევა, რომ დღეისათვის აღარ არსებობს ა. შ-ის სასარგებლოდ – ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში (საკადასტრო კოდი – ...) მდებარე უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობის საფუძველი, მხარე, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც გამოყენებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიება – ა. შ-ე, განცხადებით მოითხოვს მის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე ა. შ-ის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. შ-ის წარმომადგენლის შ. ძ-ის შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით (ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...)) მოპასუხისათვის ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ბასანივრეპუბლი აქტის შიჩარება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება

## ბანჩინება

№ბს-860-852(უს-16)

12 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 14.07.2014 წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ კამერალური საგადასახადო შემონმების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.2014 წ. №17884 ბრძანების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 07.05.2014 წ. №24005 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 20.06.2014 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლის 4 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 მაისამდე პერიოდში განხორციელდა შპს „...“ საგადასახადო შემონმება. თელავის რაიონული სასამართლოს 17.02.2014წ. განჩინების საფუძველზე შპს „...“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ამოღებულ იქნა შესამონმებელ პერიოდში ნაწარმოები ყველა სახის იურიდიული, საფინანსო-ეკონომიკური, სალარო, საბანკო და საბუღალტრო დოკუმენტაციის დედნები და ელექტრონული ინფორმაცია. 14.03.2014წ. შემოსავლების სამსახურმა მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მეწარმის განმეორებით შემონმების მოთხოვნით 2008 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 მაისამდე პერიოდზე, რაც არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული ბრძანება უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ. 29.04.2014წ. საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის №22835 ბრძანებით შპს „...“ დაიწყო სასა-

ქონლო-მატერიალური ინვენტარიზაციის ჩატარება, ინვენტარიზაციის პერიოდად განისაზღვრა 2014 წლის 30 აპრილიდან 29 მაისის ჩათვლით პერიოდი. ინვენტარიზაცია ვერ ჩატარდა სრულყოფილად, რის შესახებაც შპს-ს მიერ ეცნობა უფლებამოსილ ორგანოებს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 17.02.2014 წ. მდგომარეობით ყველა დოკუმენტი ამოღებულია საწარმოდან. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ინვენტარიზაცია და შემოწმება რამდენჯერმე ჩატარდა საწარმოზე ზენოლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები, რითაც ხელი ეშლება საწარმოს ნორმალურ ფუნქციონირებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.03.2015წ. განჩინებით სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.2015წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

შპს „...“ 20.09.2016 წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით და აღნიშნა, რომ სასამართლოში დავის მიმდინარეობის მიუხედავად, მოწინააღმდეგე მხარე – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი ითხოვს შპს-სგან საბუღალტრო, საბანკო და სხვა პირველადი დოკუმენტების გადაცემას, რაც ეწინააღმდეგება სასამართლოში საქმის განხილვის წესებს. მისი მოსაზრებით, მოწინააღმდეგე მხარეები ახდენენ სასამართლოში დავის მიმდინარეობის იგნორირებას და მოქმედებენ თვითნებურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ იშუამდგომლა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, სსიპ შემოსავლების სამსახურს (მათ შორის აუდიტის დეპარტამენტს) აეკრძალოს სასამართლო დავის დასრულებამდე სასამართლო წესით განსახილველი სადავო პერიოდის ირგვლივ შპს „...“ მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენა ან/და რაიმე დოკუმენტის მიწოდების დავალეზა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.09.2016 წ. განჩინებით უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა შპს „...“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძველს ქმნის საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 04.03.14 წ. წერილი და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს დადგენილება რევიზიის დანიშვნის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58.5 მუხლის თანახმად, კანონის შესაბამისად გამოძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა სანარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისთვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, თუ აუდიტის დეპარტამენტის 16.09.16 წ. №21-14/88595 წერილში ასახული ინფორმაცია მოთხოვნილია საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს აუკრძალოს იმ ქმედების განხორციელება, რომლის შესრულების ვალდებულება განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალების თანახმად, საგამოძიებო ორგანოების მიერ თელავის რაიონული სასამართლოს 17.02.2014 წ. განჩინებით შპს „...“ ამოღებული იქნა 2007 წლის 4 ოქტომბრიდან 2014 წლის 17 თებერვლამდე პერიოდში საზოგადოების მიერ წარმოებული ყველა სახის იურიდიული, საფინანსო-ეკონომიკური, სალარო, საბანკო და საბუღალტრო დოკუმენტაცია. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს, სისხლის სამართლის №092170214001 საქმეზე დოკუმენტური რევიზიის ჩატარების მიზნით გაეგზავნა აგრეთვე შპს „...“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. შესაბამისად, თუ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 16.09.2016წ. №21-14/88595 წერილში ასახული ინფორმაცია ან დოკუმენტაცია სანარმოდან ამოღებულია საგამოძიებო ორგანოების მიერ, აღნიშნული სანარმოს ათავისუფლებს მათი შემდგომი წარდგენის ვალდებულებისაგან და გამორიცხავს სანარმოს მიმართ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის მოტივით პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას.

აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა მოსარჩელემ და აღნიშნა, რომ არც ერთ მხარეს, მიუხედავად იმისა, იქნება ის მოსარჩელე, მოპასუხე თუ საპროცესო ურთიერთობაში მონაწილე სხვა პირი, არ უნდა ჰქონდეს მიმდინარე დავის საგანთან დაკავშირებით ისეთი მოთხოვნების გავრცელების უფლება, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. განსახილველი დავის საგანია შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის

26.03.14 წ. №17884 ბრძანების ბათილად ცნობა. შპს „...“ დავის საგანთან დაკავშირებული ძირითადი დასაბუთება შეეხება სწორედ გამომძიებლის მიერ მიწერილი დავალების არაკანონიერებას, რომლის მიხედვითაც გამომძიებელი მიუთითებს, რომ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება 2007, 2008 წლებთან მიმართებით დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე და იქვე ამ მოტივის გამოყენებით ითხოვს 2013 წლიდან 2014 წლის 17 თებერვლამდე შპს „...“ საბუღალტრო დოკუმენტაციის შემოწმებას და რევიზიას, რაც მოსარჩელის აზრით საერთოდ არ უკავშირდება საგამოძიებო მოტივებსა და საფუძვლებს. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების ბათილად ცნობა, თუმცა დავის საგნის მიუხედავად, მონინალმდევე მხარემ სასამართლოს გვერდის ავლით მოითხოვა შპს „...“ ისეთი ქმედების განხორციელება, რაც დავის საგანს შეადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.16წ. განჩინებით შპს „...“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.16 წ. განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, დადგინდა საჩივრისა და თანდართული მასალების გადაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარში შპს „...“ არ მიუთითებია თავისი მოსაზრების დამადასტურებელ ისეთ დამატებით გარემოებებზე, რაც გააბათილებდა სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ საფუძვლებს და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სამართლებრივ შეფასებებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს გააჩნია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. ამასთან, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით (სსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციე-



ლების გარანტს, ხოლო, მეორე მხრივ, მონინააღმდეგე მხარის უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს მიმდინარე დავის საგანთან დაკავშირებით ისეთი მოთხოვნების გავრცელების უფლება, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, მონინააღმდეგე მხარე სასამართლოს გვერდის ავლით ითხოვს შპს „...“ ისეთი ქმედების განხორციელებას, რომლის საფუძველიც სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების კანონიერების შემოწმება მიმდინარე დავის საგანია, ამდენად, შპს „...“ ითხოვს აეკრძალოს სსიპ შემოსავლების სამსახურს სასამართლო დავის დასრულებამდე სასამართლო წესით განსახილველი სადავო პერიოდის ირგვლივ შპს „...“ მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენა ან/და რაიმე დოკუმენტის მიწოდების დავალება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 07.05.2014 წ. №24005 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 20.06.14წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელია სუსპენზიური ეფექტის არსებობა, რაც გულისხმობს უფლების დაცვის იმ პრევენციული საშუალების გამოყენებას, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება დროებით ჩერდება. სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით ავტომატურად, მხარის შუამდგომლობის გარეშე, ინვესტ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას. სასკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის სუსპენზიური ეფექტი უფლების დროებით დაცვას ემსახურება და მისი მიზანია დაიცვას პირი მმართველობის ღონისძიებების შედეგებისაგან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საერთო წესიდან გამონაკლისს და ადგენს ისეთ

შემთხვევებს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება ავტომატურად არ იწვევს მის შეჩერებას და სადავო აქტის შეჩერებისათვის აუცილებელი წინაპირობა მხარის დასაბუთებული შუამდგომლობაა. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ აქტი დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელების გადახდასთან. განსახილველ შემთხვევაში სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სადავო 26.03.2014წ. ბრძანებით დაინიშნა შპს „...“ კამერალური საგადასახადო შემონმება, რომლის შედეგად გადასახადის ცვლილების გამომწვევი შეცდომების გამოვლენის შემთხვევაში, დგება საგადასახადო შემონმების აქტი (საგადასახადო კოდექსის 263.4 მუხ.), რაც თავის მხრივ, გადასახადის დარიცხვის საფუძველს ქმნის (საგადასახადო კოდექსის 61.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ექცევიან სასკ-ის 29.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების ავტომატურ შეჩერებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის 29.2 მუხლით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში, სასამართლო უფლებამოსილია დასაბუთებული განჩინებით შეაჩეროს აქტის მოქმედება, უკეთუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დასტურდება დასაბუთებული ეჭვის არსებობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ აქტის გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. განსახილველ შემთხვევაში, მხარეს არ მოუთხოვია გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება, სასამართლოს არ მიუღია განჩინება სადავო აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ, ამდენად, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 07.05.2014 წ. №24005 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 20.06.14 წ. გადაწყვეტილება მოქმედი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია, შესაბამისად, ორგანოს არ ერთმევა შესაძლებლობა მათ საფუძველზე განახორციელოს გარკვეული ქმედებები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ იკვეთება, აგრეთვე,

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პატივსაცემი სამართლებრივი ინტერესი, კამერალური შემოწმება შეუძლებელი პერიოდზე დაინიშნა, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების საფუძველზე ქმედების განხორციელება ზიანის მომტანი ვერ იქნება შპს „...“, ვინაიდან სასამართლოს მიერ შემდგომში სადავო აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში, აქტის ბათილობა თავისთავად გამოიწვევს მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებათა შედეგების ანულორებას. საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს აქვს ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 16.09.16წ. №21-14/88595 წერილის მსგავსი შინაარსის 26.03.14წ. №21-14/2099 წერილზე, რომლითაც საგადასახადო ორგანო მოითხოვდა 2013 წლის 1 მაისიდან 2014 წლის 14 თებერვლამდე პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენას, შპს „...“ 31.03.14წ. წერილით დეპარტამენტს ეცნობა, რომ ყველა სახის დოკუმენტაცია რაიონული სასამართლოს 17.02.14წ. განჩინების საფუძველზე უკვე ამოღებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თუ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 16.09.16წ. №21-14/88595 წერილში ასახული ინფორმაცია/დოკუმენტაცია უკვე ამოღებულია საწარმოდან საგამოძიებო ორგანოების მიერ, აღნიშნული საწარმოს ათავისუფლებს მათი შემდგომი წარდგენის ვალდებულებისაგან და გამორიცხავს მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო საწარმოს მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს შპს „...“ საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 29-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე, 198-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.2016 წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები**

### **განჩინება**

№ბს-928-920(უს-16)

21 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „...“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს „...“ 2013 წლის 10 მაისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისა და მესამე პირის შპს „...“ მიმართ. მოსარჩელემ მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა

და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 8 იანვრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... გადაწყვეტილება ხაზობრივი ნაგებობის (გაზსადენის საერთო სიგრძე – 4120 გრძივი მეტრი) გავრცელების ზონის: ქ. თბილისი, გლდანის ... მ/რ-ის №3, №5, №7, №16, №24, №27, №32 კორპუსების რეგისტრაციის ნაწილში და დაევალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზემოაღნიშნულ სადავო კორპუსებთან დაკავშირებით; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... გადაწყვეტილება ხაზობრივი ნაგებობის (გაზსადენის საერთო სიგრძე – 2042 გრძივი მეტრი) გავრცელების ზონის: ქ. თბილისი, გლდანის ... მ/რ, გლდანის ... მ/რ-ის №1, №4, №6, №7, №10, №12, №13, №17, №23, №27, №28, №29 კორპუსების რეგისტრაციის ნაწილში და დაევალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზემოაღნიშნულ სადავო კორპუსებთან დაკავშირებით; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქ-

ნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 8 იანვრის №... გადაწყვეტილება და ევალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით; დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „...“ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და სს „...“ მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით სს „...“ წარმომადგენლის – ი. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ხაზობრივ ნაგებობებზე (გაზსადენებზე) (მდებარე: 1. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, ზონა ..., სექტორი ..., ხაზოვანი ობიექტი – ..., საკადასტრო კოდი – №..., ობიექტის სიგრძე 1593მ. მესაკუთრე – შპს „...“ (08.01.2010წ. გადაწყვეტილება №...); 2. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, ზონა – ..., სექტორი – ..., ხაზოვანი ობიექტი – ..., საკადასტრო კოდი – №..., ობიექტის სიგრძე – 34მ. მესაკუთრე – შპს „...“ (16.12.2009წ. გადაწყვეტილება №...); 3. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ, კორპ: №1,2,6,10,14,15,24,26,28,29,31,32, კორპ: №3,5,7,16,27,30; კორპ. №8,9,17,18,20,21,22,23, ზონა – ..., სექტორი – ..., ხაზოვანი ობიექტი – ..., საკადასტრო კოდი – №..., ობიექტის სიგრძე – 4120მ. მესაკუთრე – შპს „...“ (16.12.2009წ. გადაწყვეტილება №...); 4. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ, კორპ: №1,4,6,7,10,12,13,17,23,27,28,29; კორპ: №2,3,8,9,11,14,15,16,18,19,20,30,31,32,33,34, ზონა – ..., სექტორი – ..., ხაზოვანი ობიექტი – ..., საკადასტრო კოდი – №..., ობიექტის სიგრძე – 2042მ. მესაკუთრე – შპს „...“ (16.12.2009წ., გადაწყვეტილება – №...)), განახორციელოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული რაიმე სახის ქმედებები: ყიდვა-გაყიდვა, იპოთეკა, ქირავნობა, ქვექირავნობა, იჯარა, ქვეიჯარა და სხვა ქმედებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინება გაასა-

ჩივრა შპს „...“, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და სს „...“ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა იურიდიულად დაუსაბუთებელია, როგორც მატერიალური, ასევე ფორმალური თვალსაზრისით, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით დადგენილი ზემოაღნიშნული წინაპირობები. ამასთან, ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა, მაშინ როდესაც გასაჩივრებული განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აკრძალა არა გარკვეული მოქმედების, არამედ მთელი რიგი მოქმედებების განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებით შპს „...“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და იგი საქმის მა-



სალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა მოითხოვა იმ საფუძველზე, რომ გასაჩივრებული განჩინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აეკრძალა არა გარკვეული მოქმედების, არამედ მთელი რიგი მოქმედებების განხორციელება. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა დაასაბუთა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე უძრავი ქონების შენარჩუნება წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიისათვის აუცილებელ პირობას. სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის მითითება შპს „...“ მიერ სადავო ქონების (გაზსადენების) გასხვისება ქმნის ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე საქმეზე მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება. იმის გათვალისწინებით, რომ დავის გადაწყვეტამდე მოსარჩელის საკუთრებიდან სადავო უძრავი ქონების გასვლის აღბათობა ქმნის ვარაუდს გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებასთან დაკავშირებით, პალატამ ჩათვალა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიმართ მოსარჩელეს გააჩნია დაცვის ღირსი ინტერესი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა გაბათილებული გასაჩივრებული განჩინების არგუმენტები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, შესაბამისად მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებისა და გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოე-

ბაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა სს „...“ წარმომადგენელმა, ი. გ-მა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ხაზობრივ ნაგებობებზე (გაზსადენებზე) (მდებარე: 1. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, ზონა - ..., სექტორი - ..., ხაზოვანი ობიექტი ..., საკადასტრო კოდი - №..., ობიექტის სიგრძე - 1593მ. მესაკუთრე - შპს „...“ (08.01.2010წ. გადაწყვეტილება №...); 2. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, ზონა ..., სექტორი ..., ხაზოვანი ობიექტი - ..., საკადასტრო კოდი - №..., ობიექტის სიგრძე - 34მ. მესაკუთრე - შპს „...“ (16.12.2009წ. გადაწყვეტილება №...); 3. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ, კორპ: №1,2,6,10,14,15,24,26,28,29,31,32, კორპ: №3,5,7,16,27,30; კორპ: №8,9,17,18,20,21,22,23, ზონა - ..., სექტორი - ..., ხაზოვანი ობიექტი - ..., საკადასტრო კოდი - №..., ობიექტის სიგრძე - 4120მ. მესაკუთრე - შპს „...“ (16.12.2009წ. გადაწყვეტილება №...); 4. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ, კორპ: №1,4,6,7,10,12,13,17,23,27,28,29; კორპ: №2,3,8,9,11,14,15,16, 18,19,20,30,31,32,33,34, ზონა - ..., სექტორი - ..., ხაზოვანი ობიექტი - ..., საკადასტრო კოდი - №..., ობიექტის სიგრძე - 2042მ. მესაკუთრე - შპს „...“ (16.12.2009წ., გადაწყვეტილება - №...-08)), განახორციელოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული რაიმე სახის ქმედებები: ყიდვა-გაყიდვა, იპოთეკა, ქირავნობა, ქვექირავნობა, იჯარა, ქვეიჯარა და სხვა ქმედებები, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. მოსარჩელის წარმომადგენელი - ი. გ-ი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა იმ და-

საბუთებით, რომ არსებობს სს „...“ სარჩელით მოთხოვნილი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის რეალური საფუძველები, (რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კიდევ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ) მოსალოდნელი შედეგის გამო შესაძლოა „...“ სადავო გაზსადენები გაასხვისოს, გაზსადენების გასხვისებით კი შეუძლებელი გახდება სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება, რადგანაც სს „...“ სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის 2009 წლის 16 დეკემბრის №..., №..., №... და 2010 წლის 8 იანვრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ, ეხება სწორედ ამ სადავო გაზსადენების „...“ სახელზე რეგისტრაციის შესახებ, გადაწყვეტილებებს და გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შემთხვევაში თუ უკვე გასხვისებული იქნება გაზსადენები, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაეკარგება პრაქტიკული ღირებულება, შეუძლებელი გახდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით, სადავო გაზსადენების გასხვისების საშიშროებიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მართებულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხისათვის სადავო უძრავ ქონებასთან მიმართებაში გარკვეული მოქმედებების აკრძალვის შესახებ, რადგან რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ქმედებების: ყიდვა-გაყიდვა, იპოთეკა, ქირავნობა, ქვექირავნობა, იჯარა, ქვეიჯარა და სხვა ქმედებების განხორციელების აკრძალვის პირობებში სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს ერთმევა შესაძლებლობა გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს ის უძრავი ქონება, რომლებზეც შესაძლოა მოსარჩელის

უფლებების არსებობა დადგინდეს. აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება მნიშვნელოვნად გართულებდა ან შეუძლებელი გახდება კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუსაბუთებლად, შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გარეშე განხორციელდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების პირობა, ასევე არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა, მაშინ როდესაც გასაჩივრებული განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა არა გარკვეული მოქმედების, არამედ მთელი რიგი მოქმედებების განხორციელება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის ან აღსრულების გაძნელების რისკების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფას. რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს, იგი ჯერ არ არის რეალიზებული, თუმცა შესაძლოა მომავალში განხორციელდეს. ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელე სათანადო ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითებით მოითხოვს სადავო უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას და სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის საფუძველზე ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობებს იმ რაოდენობით, რამდენიც საჭირო იქნება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მიზნის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრისა და 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეპელი

### 1. აღსრულებასთან დაკავშირებული დავები

გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა .....	3
უფლებამონაცვლე ორგანიზაციისათვის	
სააღსრულებო ფურცლის გაცემა .....	10
სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის თაობაზე გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება .....	16
გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების წინაპირობები .....	27
სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება .....	40
სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხანდაზმულობა .....	43
სააღსრულებო წარმოების შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება .....	49
გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებლად მიქცევის წინაპირობები .....	57
გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა .....	60
სამუშაოზე აღდგენის თაობაზე გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება .....	65
აღმასრულებლის გაფრთხილების გასაჩივრება .....	70

### 2. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი .....	80
ყადაღის დადება როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება .....	84
აღსრულების შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება .....	88
ყადაღა სავალდებულო მონვევის მესამე პირის ქონებაზე .....	93
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის კანონიერება .....	97
მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა როგორც უზრუნველყოფის საშუალება .....	106
მესამე პირის ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება .....	112
უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების ფუნქცია .....	120

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნის დასაშვებობა .....	131
მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება .....	134
სარჩელის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების საჭიროების დადგენა .....	138
მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება .....	142
სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები .....	153
სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განმეორებით მოთხოვნის დაუშვებლობა .....	159
სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების საფუძველი .....	165
გასაჩივრებული აქტის შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება .....	169
სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების წინაპირობები .....	177



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)